

# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბეჭდებიც ბეჭდურად სიფყვას, ფყილებით და ჭებრებით ბრძთის გაფანა ყველა უკადრისმბაგე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.  
ოთხშაბათი, 12 თებერვალი, 2014 წელი.  
№29 (7410)

# რუსკულუკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: [www.open.ge](http://www.open.ge)

ფასი 50 თეთრი.

## „უუნარო“ მთავრობა და „მარიფათიანი“ ნაცბანდა



6

მიუნაცხების  
ღავღავი  
უნდა  
დამთავრდეს!



ლინჩის წესის იმედადღა  
დატოვებენ ხალხს?! 3

„ამ თვითონ ღავიფყავ  
ღამნაზავეთა  
ქურაზი ღიკვიღასიას“

4 სწავლების ასაკი  
განათლების კანონის  
მიხედვით არ უნდა  
განისაზღვროს!


ღია წერილი ხელისუფლებისა და  
მთელი საზოგადოების განსაზონად

„ვარ სისხლით ქართველი“...

ბალანჩინის გული,  
ილუზიები და  
„მაკნატუნა“ 7



ქართული მინანქრის  
ანგეჟ და მოგავალი 5



უკრაინის კრიზისმა  
საქართველოს, 8  
უნიკლება, დამატებითი  
ფინანსები მოუტანოს

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვებან ვერ ნახავ!..

იხილეთ ისევ ზუსტად...

„კონგრესმენების განცხადება ამერიკისგან მტრ მხარდაჭერას ნიშნავს“

42 ამერიკელი კონგრესმენი საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების მომხრეა. კონგრესმენებმა სახელმწიფო მდივანს ჯონ ქერის სპეციალური მიმართვა გაუგზავნეს და მიესალმნენ აშშ-ის ძალისხმევას, მიმდინარე წელს დაგეგმილ NATO-ს სამიტზე პრიორიტეტად გამოცხადდეს ალიანსის გაფართოების საკითხი.

„მზად ვართ ვითანამშრომლოთ თქვენთან, რათა მხარი დავუჭიროთ მონტენეგროსა და მაკედონიის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას და ხელი შევუწყოთ ბოსნია-ჰერცეგოვინასა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების გეგმებს, მათთვის წევრობის სამომხმელო გეგმის (MAP) მინიჭების გზით. ჩვენ, ასევე, მზად ვართ, ვიმუშაოთ თქვენთან ერთად, რათა უზრუნველვყოთ რეგიონის სხვა ქვეყნების ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან უფრო მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბება და შემდგომში მათი ალიანსში გაწევრიანება“, — ნათქვამია კონგრესმენების წერილში.

ამერიკელი კონგრესმენების წერილს „სერიოზულ მხარდაჭერად“ აფასებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მია ფანჯვიციძე. იგი საქართველოს მხარდაჭერის წერილის გამოქვეყნებას ნატო-საქართველოს კომისიის სხდომასა და მიუნხენში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილის წარმატებულ ვიზიტს უკავშირებს.

„ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ძალიან სოლიდური შემადგენლობა მხარს უჭერს საქართველოს შემდგომ ინტეგრაციას NATO-ში, არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი სიგნალი. ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ, რომ ეს ხდებდა სწორედ ახლა“, — განაცხადა მია ფანჯვიციძემ.

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ წარმომადგენელი ელენე ხოშტარია მიიჩნევს, რომ საქართველო ბოლო ორი არჩევნების ჩატარების გათვალისწინებით NATO-სთან ინტეგრაციის კუთხით პროგრესს ნამდვილად იმსახურებს და, ამ თვალსაზრისით, კონგრესმენების მიერ მომზადებულ მიმართვას მნიშვნელოვანს უნდა იხილოს.

„მსგავსი წერილების ტრადიცია არსებობს, ეს ყოველთვის პოზიტიურ გავლენას ახდენდა და გარკვეულ როლს ქმნიდა NATO-ში გარკვეული გადამწყვეტილების მიღებისთვის. სამიტის წინ, სწორედ, ასეთი ფონის შექმნა მიმდინარეობს“, — განაცხადა For.ge-სთან საუბრობს ასა ელენე ხოშტარია.

მისივე თქმით, ჯერ ისიც არ არის გადამწყვეტილი, სამიტის დღის წესრიგში გაფართოების საკითხი იქნება თუ არა,

მაგრამ სწორედ, ახლა უნდა იმუშაოს აქტიურად საქართველომ და მისმა მეგობრებმა, რომ დამსახურებული გადამწყვეტილების მიღებისთვის შესაბამისი ფონი შეიქმნას.

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე კონგრესმენების მიმართვისგან კონკრეტულ შედეგს არ ელის და მას რიგით განცხადებას უწოდებს, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოები ხშირად იღებენ და მეორე დღეს აღარავის ახსოვს.

„გამოცდილებიდან გამომდინარე, კარგად ვიცი ამგვარი მიმართვების, მხარდაჭერების, „მხრებზე ხელის დარტყმის“ ფაქტი. ამიტომ, ჩემთვის მთავარი არც მიმართვაა, არც რიტორიკა, ინიციატივის მხარდაჭერის საზომი არის მხოლოდ ერთი რამ — რეალური შედეგი. ამ მიმართვის



რეალური შედეგი კი იქნება ნული. პრობლემა ძალზე მარტივია — ვიდრე რუსეთი მიიჩნევს, რომ მისთვის კავკასიაში NATO-ს შემოსვლა მიუღებელია, მანამდე ეს არ მოხდება. ამიტომ, ჩვენ NATO-ში შევალთ მხოლოდ მაშინ, როდესაც NATO ერთგვარი კულტურულ-გასართობი საზოგადოება იქნება, ანუ დაახლოებით ისეთი, როგორცაა „ნატოკლუბი“, „ნიუთლი ჯვრის საზოგადოება“ ან კიდევ — რუსეთის შეცვლის შემთხვევაში“, — განუცხადა For.ge-ს სოსო ცინცაძემ.

პოლიტოლოგი ორიონე კვიციანი წინ გამოქვეყნებულ ინტერვიუს იხსენებს, რომელშიც NATO-ში ამერიკის ელჩი რუსეთს სტრატეგიულ პარტნიორად მოიხსენიებს, საქართველოსთან დაკავშირებით კი აცხადებს, რომ მუშაობა გრძელდება.

„როგორც კი დგება პრინციპული დაპირისპირების საკითხი, NATO ავტომატურ რეჟიმში იწყებს უკუსვლას. 2008 წლის აგვისტოს აგრესიის შემდეგ, რუსეთს და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობა განედევნა და დღეს ხანს არ ყოფილა. „კორფუს შეხვედრა“ რამდენიმე თვეში შედგა და შემდეგ

NATO-მ განაცხადა, რუსეთთან ურთიერთობის გარეშე ვერ ვიარსებებთო, ამიტომ ნატო-რუსეთის საბჭოთა განაახლა მუშაობა. NATO მშვენივრად იტანდა ამ საბჭოში ისეთ ჩამოყალიბებულ შოვინისტს, როგორც იყო დიმიტრი რაგოზინი. რაგოზინი დღე და ღამე ლანძღვდა NATO-ს, NATO კი მორცხვად, თავის მართლების რეჟიმში იყო გადასული“, — აცხადებს სოსო ცინცაძე და აღნიშნავს, რომ საქართველოს NATO-ში შესვლასთან დაკავშირებით რუსეთს მკვეთრი და პრინციპული პოლიტიკა აქვს და ეს პრინციპული პოლიტიკა არაა ერთხელ დადასტურებული, არაა ნაცხადა, რომ აგვისტოს ომის მიზეზი საქართველოს NATO-ში სწრაფვა იყო.

ცინცაძის განმარტებით, ამერიკელმა კონგრესმენებმა სახელმწიფო მდივანსაც არასწორად მიმართეს, რადგან NATO-სთან დაკავშირებით თანხმობა უარს აშშ-ის პრეზიდენტი წყვეტს.

„მიმართვის ადრესატი ცოტა შეშალათ პატივცემულ კონგრესმენებს. ამ საკითხს წყვეტს პრეზიდენტი, როგორც მთავარსარდალი. ობამა დღეს საქართველოს გამო აუტყვივარ თავს არ აიტივებს. ჩვენ ღიად გვითხრა ჩვენმა პარლამენტმა, რომ საქართველოს წინსვლა NATO-სკენ მხოლოდ რაღაც ფორმით გამოიხატება. ეგ არის და ეგ...“

საგარეო ურთიერთობების საკითხებში ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე კი მიიჩნევს, რომ საქართველოს მიერ MAP-ის მიღების საკითხი მხოლოდ კონგრესმენების მიმართებით არ წყდება, თუმცა ეს მიმართვა ნიშნავს, რომ აშშ საქართველოს მეტ მხარდაჭერას უცხადებს.

„როცა ასეთი განცხადება კეთდება, ეს ნიშნავს, მინიმუმ იმას, რომ ამერიკისგან მეტ პოლიტიკურ მხარდაჭერას მივიღებთ. ეს იქნება მეტი მხარდაჭერა ფინანსური და დიპლომატიური კუთხითაც და რუსეთი, ბუნებრივია, უფრო ფრთხილად მოეკიდება საქართველოს საკითხს“, — განაცხადა For.ge-სთან საუბრობს თორნიკე შარაშენიძემ.

მისივე თქმით, აშშ-ის პოლიტიკური მხარდაჭერის გაძლიერების გამო, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა მეტად აღარ გამწვავდება და რუსეთი ამერიკის პოზიციას გაითვალისწინებს.

„რუსეთის მოლოდინის მიუხედავად, ამერიკა ჯერჯერობით საქართველოს მიმართ ინტერესს არ კარგავს და ამას ანგარიშს გაუწევს. რუსეთი ძალას ანგარიშს ყოველთვის უწევს“, — აცხადებს თორნიკე შარაშენიძე და განმარტავს, რომ რუსეთი აშშ-ისთვის სტრატეგიული პარტნიორია, მაგრამ საქართველოს განსხვავებით, მისი მოკავშირე ქვეყანა არ არის.

მადლენა მაჭარაშვილი

მინისტრის ანგარიში

საიუბი აზოვითი სამუშაოების შეჩერება ადგილობრივმა მოსახლეობამ ითხოვა

საიუბი აზოვითი სამუშაოების შეჩერება ადგილობრივმა მოსახლეობამ ითხოვა, — ამის შესახებ განაცხადა საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

კალაძის განმარტებით, ადგილობრივ მოსახლეობას დაუბრუნდება ის მიწები, რომელიც მათ ჩამოერთვათ და ინვესტორს ერთ ლარად გადაეცა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ამას უკავშირდებოდა აზოვითი სამუშაოების წარმოება, რათა თითოეულ მცხოვრებს მიწა დაუბრუნდებოდა, დარეგისტრირების სარეგისტრაციო ინვესტირება საკუთარ თავზე აიღო.

„როდესაც დაიწყო აზოვითი სამუშაოები, რამდენიმე ოჯახში შევიდნენ და გარკვეულმა ჯგუფმა გამოთქვა პროტესტი, დაიწყო შეურაცხყოფა იმ ადამიანების მისამართით, ვინც ამოწვევითაა ჯგუფს სამუშაოების განხორციელების ნება დართო, გადაეცეს გზები. შესაბამისად, ადგილობრივ მოსახლეობას შორის დაპირისპირებისა და სიტუაციის ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით მივიღეთ გადაწყვეტილება, მათი თხოვნით რამდენიმე წლით შეგვეჩერებინა სამუშაოები“, — განაცხადა კალაძემ.

მინისტრის განმარტებით, აზოვითი სამუშაოების შეჩერება არ ნიშნავს იმას, რომ პროექტი არ განხორციელდება. რაც შეეხება პროცესში სასჯელალსრულების მინისტრის ჩართულობას, როგორც კალაძემ განმარტა, სოზარ სუბარს ადგილობრივი მოსახლეობა და სვანეთი დიდ პატივს სცემს და პროცესში მისი ჩართვა ადგილობრივებმა ითხოვეს.

მინისტრის თქმით, ჩვენ ვრჩებით ჩვენს პოზიციებზე, სახელმწიფოში უზუნუნესია კანონი და ყველა ექვემდებარება ჩვენს მინისტრს. პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია, სტრატეგიულია.

დბრიბლის ნეობაში ახალი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი საზის მშენებლობა იწყება. ენერჯეტიკის მინისტრის ინფორმაციით, კონკრეტული პროექტი ჯერ არ არსებობს, თუმცა თუ სამომავლოდ იქნება რუსეთთან 500 კილოვოლტიანი საზის შეერთების შესაძლებლობა, ეს საქართველოს ელექტროსისტემისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

— დღეს ჩვენ როდესაც ვვიდულობთ ელექტროენერჯის რუსეთისგან, მას ვიღებთ კავკასიონის 500-იანი ელექტროგადამცემი საზის, რომელზეც სდება ავარიები და საზის ადგენა გარკვეულ დროს ითხოვს, რადგან ის მაღალმთიან სვანეთში მდებარეობს. თუ მოხდება შეთანხმება რუსეთთან, რომ მათაც ააშენონ 500-კილოვოლტიანი გადამცემი საზის და მოხდება დაერთება საქართველოსთან, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენს ქვეყნის ენერჯის სისტემისთვის, ჩვენ შევძლებთ ელექტროენერჯის მართულად და თურქეთის გავლენა ევროპაში, რაც კიდევ უფრო შევსავალს მოუტანს ჩვენს ეკონომიკას, — განაცხადა კალაძემ.

გორის მიმდებარე ტერიტორიაზე 20-მეგავატიანი ქარის პირველი ელექტროსადგური აშენდება. კახა კალაძის ინფორმაციით, პროექტის სახელწოდება იქნება „ქართლი“. მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობს ელექტროგადამცემი საზისები, რაც პროექტის განხორციელების ღირებულებას აიაფებს. — ჩვენ დაგვიანდა დაგვიანდა, რომელზე დაგვიანდა სპეციალური მონაცემები რომ ავსოვს ქარის სიმძლავრეს და მიმართულებას. ვფიქრობ, მათიდან უკვე დავიწყებთ მშენებლობას და პირველი ქარის ელექტროსადგური 6-7 თვეში დასრულდება, — აღნიშნა კალაძემ.

ინტერპრესი

ახალი პროექტი

ბმ დღეებში თბილისში ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრმა“ (სელმდევანელი მიაა კაციტაძე) და „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“ (სელმდევანელი რეზო ბენდელიანი) თავიანთი ახალი პროექტის პრეზენტაცია გამართეს. ამ ერთობლივი პროექტის მიხედვით მიმდინარე ენგურის ხიდთან, გალისა და ზუგდიდის ადმინისტრაციული საზღვრის გამშვებ პუნქტთან, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე შეიქმნება თავისუფალი სივრცე და დაარსდება „მშვიდობის ძაბრ-ი“ ულ-აფხაზური სახლი“. ეს იქნება საქართველოს ისტორიაში პირველად ნდობის, სახალხო დიპლომატიისა და ურთიერთსაჭიროებებზე მორგებული პროექტი.

მშვიდობის ქართულ-აფხაზური სახლი

ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში ორივე არასამთავრობო ორგანიზაციას ამ საკითხებზე მუშაობის გამოცდილების იმედი აქვთ. „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი“ საქართველოში 1994 წლიდან ფუნქციონირებს და მისი უპირველესი ამოცანაა კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობიანი გზით გადაჭრის პირობების გაუმჯობესება, ასევე არაძალადობრივი მიდგომების შემუშავება და გატარება. ამ ცენტრის მიერ 2008 წლიდან დღემდე არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა. მათ შორის იყო ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ახალგაზრდული დიალოგი და ქართულ-რუსული დიალოგი.

„ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“ დაარსდა 2003 წელს და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ენგურის გაღმამოლომა მცხოვრები ქართველი და აფხაზი შერეული ოჯახების, ნათესავების, ქართველი და აფხაზი მოგვარების ერთმანეთთან შეხვედრა და დაახლოება. 11 წლის განმავლობაში ამ ორგანიზაციამ 6000-მდე ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახის ნათესავისა და მოგვარის ერთმანეთთან შეხვედრა მოახერხა.



ასეთი გამოცდილების მქონე ორი ორგანიზაცია უკვე ახალი ინიციატივით გამოდის, რასაც, რა თქმა უნდა, ხელშეწყობა და თანადგომა სჭირდება. თბილისში გამართული პრეზენტაციიდან ორივე დღეში, ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების“ ხელმძღვანელი რეზო ბენდელიანი ზუგდიდში ჩამოვიდა და შეუდგა მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებას. „ჩვენი ერთობლივი განცხადების შემდეგ დენილებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა მოითხოვეს ჩემთან შეხვედრა და მეც შეხვედრა მათ, რომელთაც აინტერესებდა, თუ რა დანიშნულება ექნება „მშვიდობის ქართულ-აფხაზური სახლი“ და მოითხოვეს დეტალური ახსნა-განმარტება. გარკვეული მო-

საზრებებიდან და ვითარებიდან გამომდინარე მე დეტალურ ახსნას არ გავაკეთებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ეს იქნება „ერთი ფანჯრის პრინციპზე“ ორიენტირებული სახლი, სადაც ნებისმიერი ადამიანი მიიღებს მათთვის სასურველ ინფორმაციას და რჩევას. ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები და უმოკლეს დროში დაიწყებთ ორქვციონირებას. აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი მისაღება არა მარტო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოსაგვარებლად, არამედ პროექტი წაადგება მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, თუ ქვეყნებში არსებულ დაპირისპირებულ და კონფლიქტში მყოფ ერებსა თუ ეთნიკურ ჯგუფებს ურთიერთობის მოგვარებაში“, — გვითხრა რეზო ბენდელიანმა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდი პროექტის „მშვიდობის სახლის“ და საკონსულტაციო სერვისების მიწოდების შესახებ არც ქართული და არც აფხაზური მხრიდან ჯერ არ განხორციელებულა.

ლალო ძირია, ზუგდიდი.

# „მუიერი სამართალი“

წლების განმავლობაში პოლიციელთა მიერ ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის არც ერთ შემთხვევა არაა გამოძიებული. კი იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ამგვარ საქმეებზე სასამართლომ იმსჯელა, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში სასჯელი არ იყო დანაშაულის ადეკვატური. პოლიციელების მიერ ძალის გამოყენებით გამოყენებას ხშირად უდანაშაულო ადამიანები ეწირებოდნენ. როცა კი ჩნდებოდა კონკრეტული მტკიცებულებებით გამოყენებული ეჭვი, რომ მკვლელობა პოლიციელმა ჩაიდინა, სახელმწიფო ჩინოვნიკები მკვლელობას იმით ამართლებდნენ, რომ მსხვერპლი კრიმინალი იყო, ან პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის დროს მოკლეს.

ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა, თუმცა, არ შეცვლილა იმ ადამიანების მოთხოვნა, რომლებიც წლების განმავლობაში საკუთარი შეიქცევის მკვლელების დასჯას ითხოვდნენ. პროკურატურა კი საქმის გამოძიებას არ ჩქარობს. 2006 წლის 2 მაისს, კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის მამა იური ვაზაგაშვილი აცხადებს, რომ მთავარი პროკურატურა ზურაბ ადგილზე მისი მიერ დაპყვინტეული ტრადიციით აგრძელებს მუშაობას.



ლიანობის აღდგენის პოლიტიკური ნება საქართველოში არ არსებობს.

„ვიცი, რომ იყო ასეთი ბრძანება, პოლიციელი და გამოძიებელი არ დაიჭიროთო. ისეთი ხალხია დასაჭერი, რომ არ აწყობთ ამ ხალხის დაჭერა. სასამართლომ გიროთი გაათავისუფლა მიქაძე და დონაძე. ამის მერე არაფერი არ ხდება, ნ თვეა გასული, სასამართლო დანიშნულიც კი არ აქვს მოსამართლეს. ბუტას, სანდროს და ზურას საქმეში არის ერთი გამოძიებელი შაკო ნიჭაბაძე. მას აკეთებინებდნენ ყველა შავ საქმეს.“

არ რცხენიათ? მიკვირს, თინა ნიდაშელი და დათო უსუფაშვილი თავს იკლავდნენ ამ საქმეებზე, მოგვცეს პირობა, რომ მთავრობაში მოვიდოდნენ და ყველა ფერს გააკეთებდნენ სამართლიანობის აღსადგენად. გაზაფხულამდე ველოდებით, თუ სათანადოდ არ დაიასჯებიან ეს მკვლელები, 2007 წლის ნოემბერი მოგონილი იქნება. კარგად მახსოვს, დღევანდელმა პოლიტიკოსებმა როგორ გამოიყენეს ეს მკვლელობები. ახლა დასდნენ პარლამენტში და ჰგონიათ, რომ მოვასჯენენ. ჯოხით გამოყვანილ სუფელას მაგ პარლამენტიდან!

„ნაციონალების“ დროს შეგვარდი და ამათ დავიდობ? ა ზრზე არ არიან, ამათ რას ვუზამ. სხედან იქ და კისრები გაისუქეს. მოვა კიდევ არჩევნები, სადაც მათი მაჟორიტარები იქნებიან, ყველა ჩაეუშლით არჩევნებს. ნულზე დავიყვანთ მაგათ პროცენტებს.“

ბასშუ კვირას იური ვაზაგაშვილი შს მინისტრს და მთავარი პროკურორის პირველ მოადგილეს შეხვდა. პირველი პირებისგან მან საქმის გამოძიება და მკვლელობაში ეჭვმიტანილი მოქმედი მალაქინოსნების დასჯა მოითხოვა. როგორც თავად ამბობს, აღძრულია საქმე, თითქოს დაკითხულია რამდენიმე მოწმე. დანიშნულია ექსპერტიზა მანქანაზე, რომელიც, როგორც ნივთმტკიცება, დღემდე პროკურატურაშია.

„შეგვადი ირაკლი შოთაძეს და კატეგორიულად მოვთხოვ სამსახურიდან გაენთავისუფლებინათ ის თანამშრომლები, რომლებმაც საქმე გააყალბეს. ესენი არიან – მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ფრანკ ანკოსი, თბილისის პროკურორის მოადგილე გელა ბადაიშვილი, პროკურორები შაქრო ზაალაშვილი, თენგიზ ხარბაგა. ესენი ხელის უშლიან გამოძიებას.“

შეგვადი შს მინისტრს ალექსანდრე ჭიკაძეს. ვკითხე რა ფორმით აპირებდნენ ქალაქის პოლიციის უფროსის გიორგი დალაქიშვილის და მისი მოადგილის ოთარ მირზოევის დასჯას. ეს ბატონები ჩემი ზურას მკვლელობის თანამონაწილეები არიან. მინისტრს ამის მტკიცებულება წარვუდგინე - როცა მათ დაიწვეს პირველი სროლა ზურას მიმართულებით, ცააძესთან და ბერძენსთან ერთად, მანქანის წინ იდგნენ.“

შს მინისტრი მეუბნება, რომ დალაქიშვილმა მითხრა 150 მეტრის მოშორებით ვიდეო და მე მისი მჯერაო. იმედი მომცეს, დაახლოებით ორ თვეში შედეგს დავგებთო. როგორც მითხრეს, ორ ვერსიაზე მუშაობენ და ვნახოთ. არ დავთმობ, ეს მკვლელები უნდა დაისაჯონ.“

ბასუნი არ უნდა მოსთხოვოს ხელისუფლებამ და პარლამენტმა ჭიკაძეს, რატომ დანიშნა მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირი პოლიციის უფროსად? რადგან ფირცხალავას მშაკაცია, იმიტომ დანიშნა? თვითონაც მისი სამშაკაცოდანაა. ამას წერტილი უნდა დაესვა. სხვანაირად სამართლიანობას ვერ აღვადგენთ. შოთაძე მეუბნება, რომ პროკურორი ზაალიშვილი მოვასურთ აქედან და კახეთში გაუშვიო, დანარჩენებზე პრობლემა არ იქნებაო“, - აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას იური ვაზაგაშვილმა.

იური ვაზაგაშვილის პროკურატურაში გამართული ხმაურიანი შეხვედრის შემდეგ, პროკურატურაში მოულოდნელად ჩნდება ვინმე ლევან გაბუნია, რომელიც თავისი შვილის გიორგი გაბუნიას მკვლელობაში ზურა ვაზაგაშვილის ადანაშაულებს. გაბუნიამ პრესკონფერენცია შარბაგას ქუჩაზე მდებარე 16-სართულიან კორპუსთან გამართა, რომლის სახურავიდან, მისივე თქმით, 2003 წლის 28 დეკემბერს მისი შვილი გადმოაგდეს და მოკლეს.“

„ჩემი შვილი იყო მკვლელობის მთავარი მოწმე. ბექა პაპუაშვილი და ჩემი შვილი მოკლა იმ ხალხმა, ვისაც დღეს ძეგლი უდგას. ეს არის ზურა ვაზაგაშვილი. მას ჩვენება მიაცემინეს. საქმე უკვე გამოძიებულია და ხელახალ გამოძიებას არ საჭიროებს. მივმართავ მთავარ პროკურატურას, რომ საქმის მასალები გაასაჯაროოს. ყველაზე უნდა იცოდეს ვინ ვინ არის. აქამდე გაჩურჩხულნი ვიყავი და ვილატვილავდი გიორად წარმოგვიდგინეს“, - განაცხადა ლევან გაბუნიამ.

თავისთავად ჩნდება კითხვა, რატომ დუმდა წლების განმავლობაში გაბუნიან? მაშინ, როდესაც სანდრო გირგვლიანის სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა, გაბუნიას მეუღლე სხვა შვილმკვლად დედებთან ერთად სასამართლოზე დადიოდა და როგორც იური ვაზაგაშვილი აცხადებს, სასამართლოდან თავისი მანქანით მიჰყავდა გაბუნიას მეუღლე სახლში.“

„მისი მეუღლე დადიოდა სასამართლოზე. ჩემი მანქანით მიმყავდა ხოლმე სახლში. მან გვითხრა ასეთი რამ – „ჩვენთან მოვიდნენ პოლიციელები და გვითხრეს, რომ უნდა თქვათ, რომ თქვენი შვილი მოკლა ვაზაგაშვილმაო, მაშინვე სახლიდან გავყავარე“. ახლა გამოდის მისი მეუღლე და ამას ამბობს. შემირცხვენია ის მამა, რომელმაც იცის, ვინ მოკლა მისი შვილი და 10 წელი ხმას არ იღებს. ეთქვა რისი ეშინოდა? ადგილზე და მერაბიშვილის მეთოდით მუშაობს ეს პროკურატურა დღემდე. ძველი კადრები გავლენას არ კარგავენ. ვერ შემაშინებენ და ვერ გამაჩერებენ ასეთი მეთოდებით“, - აცხადებს იური ვაზაგაშვილი.

მკვლელის დასჯას ითხოვს 2008 წლის 8 მაისს თბილისში საპატრულო პოლიციის თანამშრომლის ვახტანგ აბუაშვილის მიერ მოკლული 31 წლის გიორგი გამცემლიძის მამა. გამცემლიძის დანაშაულს მხოლოდ ის იყო, რომ მან საგ-

# ლინის წასის იმედგადა დატოვებენ ხალხს?!

„ე თვითონ დავიწყებ დაგნაგავითა ქურაში ლიკვიდასიას“

ზაო მოძრაობის წესები დაარღვია. ოფიციალური ვერსიით, გამცემლიძე შეიარაღებული იყო და პოლიციელების ბრძანებას, გაჩერებულიყო, არ დაემორჩილა და პოლიციის თანამშრომელმაც სწორედ იმიტომ ესროლა მას, რომ მასში საფრთხე დაინახა. მანქანიდან გადმოსული გამცემლიძე საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა ცეცხლსასროლი იარაღით გასროლით გამოასალმა სიცოცხლეს.

გამოძიების მსვლელობისას იარაღიც „ამოიღეს“, მაგრამ ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ ამ იარაღზე გიორგი გამცემლიძის თითის ანაბეჭდები არ იყო. ვახტანგ აბუაშვილის მიმართ საქმე თავიდან სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლით (მკვლელობა დამნაშავეს დაკავებისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით) აღიძრა, შემდეგ კი კვალიფიკაცია შეიცვალა და საბოლოოდ პატრულის თანამშრომელი გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობის მუხლით გასამართლეს (116-ე მუხლი), თუმცა, გიორგი გამცემლიძის შიშობლები აცხადებენ, რომ ეს განზრახ მკვლელობა იყო, რადგან მათი მტკიცებით აბუაშვილი მის ვაჟს იცნობდა და მასთან პირადი ინტერესი ჰქონდა.

„მერწმუნეთ, ძალიან რთულია, როდესაც შენი შვილის მკვლელობა უნდა დასჯი და ქვების ქურდს 12 წელს. ეს არის სამართლიანობა? მკვლელებს, რომლებიც ქურაში დადიან, უფლები არ უნდა ჰქონდეთ ქურაში იარაღი. პროკურატურაში არაფერს არ მეუბნებიან. ისევე ის ჩინოვნიკები არიან მოკალათებული, რომლებიც ვანო მერაბიშვილთან ერთად გვამავდნენ ამ მკვლელობებს. სწორედ იმიტომ არ ისჯებიან ჩვენი შვილების მკვლელები“, - აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას ჯამბულ გამცემლიძემ.

საქმის ობიექტურ გამოძიებას ითხოვს 2004 წლის 23 დედუბის ეკლესიასთან მოკლული ბუტა რობაქიძის მშობლები. შს-ს პრესსამსახურის მიერ მომზადებულ ყოველდღიურ გადაცემა „პატრულის“ ეთერში ითქვა, რომ რობაქიძე მაშინ მოკლეს, როცა ისინი „ბანდიტების შეიარაღებული ჯგუფის წევრების“ დაკავებას ცდილობდნენ. ოჯახი ითხოვს დაისაჯონ ზურაბ ადგილზე, გურამ დონაძე, ქალაქის მაშინდელი პროკურორი გიორგი ლვინიაშვილი, დიდუბე-ჩუღურეთის პროკურორი ირაკლი წერეთელი, რომელიც ამ საქმეს იძიებდა და ასევე თბილისის პოლიციის უფროსი ზურაბ მიქაძე.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ბუტა რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით, გურამ დონაძის გარდა, ბრალი კიდევ შს-ს 4 ყოფილ მაღალჩინოსანს წაუყენა. ბუტას საქმეზე 3 სასამართლო პროცესი ჩატარდა. დაკავებულებს აღმკვეთი ღონისძიება - წინასწარი პატიმრობა - გიორგიანი შეეცვალათ. მოსამართლე კი სასამართლო პროცესის დანიშვნას არ ჩქარობს. სოსო რობაქიძე აცხადებს, რომ სამართ-

ნებიან, ყველა ჩაეუშლით არჩევნებს. ნულზე დავიყვანთ მაგათ პროცენტებს.“

ათიათასობით ადამიანი არის უსამართლოდ დასჯილი, ნამოყვანილი და პოლიტიკური ნება არაა, რომ ეს საქმეები გამოიძიონ. პირდაპირ ვაცხადებ, რომ მე თვითონ დავიწყებ დამნაშავეების ქურაში ლიკვიდაციას. მიჩვენია ციხეში ვიყო, ვიდრე უთავმოყვაროდ ვიარო ქურაში და ჩემი შვილის მკვლელებს გვერდი ავუარო“, - აცხადებს for.ge-სთან საუბრისას სოსო რობაქიძე.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი გარდაცვლილის მშობლებს სოლიდარობას უცხადებს და საკითხთან დაკავშირებით მისეულ ფორმულას აყალიბებს - „სამართლიანობის აღდგენა უფლებადმოქმედებით თითოეული ადამიანისა და ოჯახისათვის“.

„თითოეული კონკრეტული საქმე არის შესასწავლი და დაგვიანებულია, განსაკუთრებით გირგვლიანის, რობაქიძის და სხვათა საქმეებთან დაკავშირებით და ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ პროკურატურა ახალი ხელმძღვანელობით მაინც დაამტკიცებს ამ პროცესებს. ასე რომ, კონკრეტული დანაშაულები უნდა იყოს შესწავლილი, ბეგია და რთულია მესმის, მაგრამ სამართლიანობა უნდა აღდგეს“, - აცხადებს დავით ბერძენიშვილი.

ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული კრიმინალური საქმე თანამედროვე საქართველოს ისტორიაში 2006 წლის 28 იანვარს შს-ს მაღალჩინოსნების მიერ ოქროყანის სასაფლაოზე მოკლული სანდრო გირგვლიანის საქმეა. ამ საქმეზე ექვთვემ დააყენა საქართველოს სასამართლო სისტემა და მთავრობის მიერ გატარებული დემოკრატიული რეფორმების სიმტკიცეც. სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის გამოძიება ხელისუფლების შემდეგ განახლდა. ბრალი ნაუყენეს ყოფილ შს მინისტრს ვანო მერაბიშვილს და თავდაცვის ყოფილ მინისტრს ბაჩო ახალაიას.

მთავარმა პროკურატურამ შს სხვა მაღალჩინოსანთა ბრალეულობაც გამოკვთა. გია ალანისა, ალექსანდრე ლაჭავას, მისიელ ბიბილურიძისა და ავთანდილ აფციაურის გარდა, მერაბიშვილისათვის ნაყენებულ საბრალდებო დასკვნაში იდევ სამი გვარი ფიგურირებს - დავით ქოქიაშვილი, იოსებ ხასაია და ვალერიან მეტრეველი. ისინი მერაბიშვილის მიმართ პერიოდში გირგვლიანის მკვლელობის გაუმოძიებისას საქმეში საერთოდ არ ფიგურირებდნენ და თანამდებობაზე მუშაობას განაგრძობდნენ. გარდა ამისა, ბრალი ნაუყენეს ოლეგ მელიკოვს, დავით ჩხიტიანიძეს და დანა ახალაიას, რომელიც გამოძიებამ სანდრო გირგვლიანზე ანგარიშსწორების დამკვეთად დაასახელა.

ამ საქმეზე ბრალი ამ დრომდე ნაყენებული არ აქვს სუფრის კიდევ ერთ ნევრს, შს-ს გენერალური ინსპექციის ყოფილ უფროსს ვასილ სანოძეს. თუმცა, ცნობილია, რომ სანოძე თბილისის პროკურატურაში იმყოფებოდა და გამოძიებლის კითხვებსაც ამომწურავად უპასუხა.

for.ge-ს ინფორმაციით, დათა ახალაიას გირგვლიანზე განხორციელებული ანგარიშსწორების ორგანიზატორად ბრალი ვასილ სანოძისა და საქმეზე დაკითხული 81 მოწმის საფუძველზე ნაუყენეს.

ამის მიუხედავად, გამოძიებამ ამ დრომდე ვერ დაადგინა, გირგვლიანი მოკლეს თუ გაქცევისას გარდაიცვალა. საქართველოს ყოფილი მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი აცხადებს, მნიშვნელოვნად არის გამოძიებული სანდრო გირგვლიანის საქმე. სუფრის სცენა აბსოლუტურად გამოძიებულია. გამოძიებულია, რა ვითარება იყო ციხეში.“

„დარჩენილი იყო ერთი ელემენტი, რომელიც გამოძიებას საჭიროებდა - რა განსაზღვრავდა გარდაცვალების კონკრეტული მიზეზი. ვერ ხერხდებოდა ზუსტად იმის დადგენა, ის მოკლეს თუ გაქცევის დროს გარდაიცვალა. არ შეიძლება, ადამიანს დააბრალო მკვლელობა, თუ ყველა მტკიცებულებით ბოლომდე არ არის გამოყვანილი. ეს საკითხი ამ შემთხვევაში ობიექტური სირთულია“, - აღნიშნა ყოფილმა მთავარმა პროკურორმა.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს აკისრია პირდაპირი ვალდებულება, რომ არა სიტყვებით და პოლიტიკური განცხადებებით, არამედ ეფექტური და სრულყოფილი გამოძიებით, აჩვენოს საზოგადოებას სიმართლე, რა გახდა ამ ახალგაზრდების ქურაში ჩაცხრილების მიზეზი.

ამ სამიოდე წლის წინათ, ვილაცი (გასაგებია ვისიც) ახორციელებს გამო, განათლების იმდროინდელმა მინისტრმა, რომელიც განათლების საქმის ბაიბურშიც კი არ იყო, ბრძანა: დღეიდან სწავლის დაწყების ასაკად ხუთი წელი იქნას მიჩნეული. რატომ გადმოწია სწავლის დაწყების ასაკი ერთი წლით ადრე, ამის დასაბუთებით არც იმდროინდელ განათლების მინისტრს (აი, იმას, განათლების საქმის ბაიბურში რომ არ იყო) და არც მასზე არანაკლებ კომპეტენტურ მის ხელქვეითებს თავი არ შეუხებიათ, რომც შეეწინააღმდეგებინათ, ამ მაგნი (არა მცდარ, არამედ მაგნი) გადამწყვეტილებას როგორ დაასაბუთებდნენ ნეტავი.

მაშინვე ავტებეთ განგაში: სწავლების დაწყების ასაკის თუ მოზარდის განვითარების სხვა პარამეტრებთან დაკავშირებული საკითხების ასე უაპელაციოდ, ვილაციის ხუშტურების მიხედვით გადამწყვეტად დანაშაულია და ნუ შვრებით ამას-ოქო.

ეს განგაში საკუთარ ბინებში ან ახლო მეგობრობის წრეში კი არ ავტიტებავს, პრესაში ავტიტებთ, მაგრამ, აბა! ყურიც არავინ შეიბერტყა. მერე ვიფიქრეთ, მაშინდელმა პრეზიდენტმა რომ თქვა, ქართულ გაზეთებს არ ეკითხულობო, ალბათ, მისმა მინისტრებმა და სხვა ჩინოსნებმა გაფრთხილებად მიიღეს და აღარც თვითონ ეკარებთან ქართულ ყურნალ-გაზეთებსო. მართლაც ასე იყო. მერე ავდექით და განათლების სამინისტროს უფროსების სახელზე მარკიანი კონკრეტებით გავაგზავნეთ წერილები.

არაფერი გეტყვინოთ, არავინ გამოგვხმაურებია! ასე დარჩა ჩვენი განგაში „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

მერე ის იყო, რომ დიდი ზარ-ზეიმით მოხდა 2012 წლის 1 ოქტომბრის რევოლუციასთან გათანაბრებული (ჩვენს ოცნებებში, რა თქმა უნდა!) არჩევნები, რომელმაც ახალი ხელისუფლება მოიყვანა ქვეყნის სათავეში. ვიფიქრეთ, ახალი განათლების მინისტრი პირველად რასაც გააკეთებს, ის იქნება, რომ თვითნებურად დაწესებულ სწავლების დაწყების ასაკს ისევ ადრინდელ განზომილებაში დააბრუნებს-ოქო. მით უფრო, რომ ის მინისტრი ფილოსოფოსი იყო, ფილოსოფოსები კი, მოგეხსენებათ, სიბრძნისმოყვარეები არიან. არ გაგვიმართლდა ვარაუდი, ამიტომ ავდექით და ღია წერილით მივმართეთ ფილოსოფოს მინისტრს. არავითარი ოფიციალური პასუხი არ მიგვიღია. ისე, კანცელარიაში რომ დავრეკეთ, ვილა-ცამ გვიპასუხა: მაგ საკითხზე მინისტრი ჯერ არ ჩამოყალიბებულაო(!). მალე ის მინისტრი დააინაწურეს და მის ადგილზე მოყვანილი ახალი მინისტრის პროფესიული კვალიფიკაცია რომ შეეიტყვეთ, უფრო მეტი გულმოდგინებით მივწერეთ ღია წერილი, თანაც მინისტრის თანაშემწეს დავურეკეთ და ვაცნობთ: მინისტრის სახელზე ღია წერილი გამოვაქვეყნეთ და იქნებ ჩვენი სახლით სთხოვოთ წაიკითხოს იგი, ან თუ ამას ვერ მოახერხებს, მოკლე შინაარსი მაინც მოუყვებით-ოქო.

არ ვიცი, იმ თანაშემწემ ყურად იღო თუ არა ჩვენი თხოვნა, მაგრამ სამინისტროდან პასუხი არავინ გაგვცა.

მერე ისე მოხდა, რომ ერთი ჩვენი მეგობარი განათლების მინისტრის ახლო ნაცნობი გამოდგა, არ დაგვზარდა, დაურეკა (მობილურით, თორემ ქალაქის ტელეფონით რას დარეკავ?) და ჩვენთან შეხვედრაზე დაიყოლია. მართლაც ორიოდე დღეში გამოგვიძახეს და გვითხრეს, მინისტრთან არა, მაგრამ მის დარგობრივ მოადგილეებთან თქვენი შეხვედრა შედგებო. პირველი შეხვედრა ღია გიგაურთან შედგა, რომელსაც სკოლების „პატრონობა“ აბარია. ქალბატონმა ლიამ კეთილი ღიმილით მიგვიღო, მოგვისმინა და მიიჩნია, რომ ჩვენ მინისტრის იმ მოადგილეს უნდა შეხვედროდით, რომელსაც მეცნიერება ებარა. შეიძლება ქალბატონი ღია მართალიც იყო! ჩვენ ხომ ოცი წუთის განმავლობაში იმას ვუმტკიცებდით მას, რომ მეცნიერული უზრუნველყოფის გარეშე ვერანაირი რეფორმა ვერ განხორციელდება განათლების სიტუაციაში და რომ უცხოურ რეკომენდაციების უკრიტიკოდ გაზიარებით მხოლოდ ნეგატიური შედეგები შეიძლება მივიღოთ, ხოლო სწავლებისა და აღზრდის (თუმცა, აღზრდა სადღაა!) კარდინალურ საკითხებთან დაკავშირებით, მეცნიერული გამოკვლევების შედეგების გაუთვალისწინებლად გადაწყვეტილების მიღება დანაშაულია. საამისო მაგალითად, სწავლების დაწყების პერიოდად ხუთი წლის ასაკის გამოცხადება დაეუსახელო. ამიტომ არის აუცილებელი პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აღდგენა-ოქო.

ორიოდე დღის შემდეგ მეცნიერების დარგში განათლების მინისტრის მოადგილემ ბატონმა თამაზ მარსაგიშვილმა მიგვიღო. ამ შეხვედრით მოხიბლულნი დავრჩით. განათლების სამინისტროში თუ ასე აზროვნებენ, მაშინ საქმე მთლად დაღუპული არ ყოფილაო, - ვიფიქრეთ. ჯერ მეგობართა წრეში, შემდეგ კი საჯაროდ, სამეცნიერო კონფერენციაზე იქვეც კი გამოვთქვით, ეს კაცი შემთხვევით ხომ არ არის მოხვედრილი ამ სამინისტროში.

და მაინც შევადგინეთ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგინეთ პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აღდგენის კონცეფცია. აქვე ჩამოვთვალეთ ის უპირველესი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელი იქნება ჩვენი სკოლის რეანიმაცია (დიას, რეანიმაცია!).

ათიოდე დღეში პასუხი მივიღეთ: ღერებებითა და ემბლეებით მორთულ თაბახის ორ ფურცელზე ასეთი შინაარსის პასუხია დაბეჭდილი: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამ ეტაპზე არ გეგმავს რაიმე ტიპის ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი დაწესებულების აღდგენა/დაფუძნების საკითხის განხილვას“.

რას ვიზამთ. როგორც ჩანს, სამინისტროში მიიჩნიეს, რომ მათ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების დახმარება არ სჭირდებათ და უიმისოდც თავს გაართმევენ საქმეს. კაი, დაგემართო!

მალე გამოჩნდა, რომ არც მთლად ასე ყოფილა საქმე. აგერ, ამ დღეებში ინტერპრესმა გაავრცელა შემდეგი შინაარსის განცხადება: „სასკოლო ასაკის განსაზღვრასთან დაკავშირებით განათლების სამინისტრო ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს. როგორც სამინისტროდან იტყობინებიან, ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკის ცვლილებასთან დაკავშირებით დასკვნითი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.“

მინისტრის მოადგილე ღია გიგაური და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები განათლების სისტემით დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებს, განათლების ექსპერტებსა და ფსიქოლოგებს შეხვედრენ. სამუშაო ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები,

# სწავლების ასაკი განათლების კანონის მიხედვით არ უნდა განისაზღვროს!

## ღია წერილი ხელისუფლებისა და მთელი საზოგადოების განსაცნობად



რომ სასკოლო ასაკი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით განისაზღვროს 6 წლით. ამასთან, 2014-2015 სასაწავლო წელი განისაზღვროს გარდამავალ პერიოდად და სასკოლო ასაკის მქონედ მიჩნეულ იქნენ ბავშვები, რომელთაც 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეუსრულდებათ 6 წელი, ხოლო 2015-2016 და ყოველი შემდგომი სასწავლო წლისთვის სასკოლო ასაკის მქონედ მიიჩნევიან ბავშვები, რომელთაც 6 წელი შეუსრულდებათ სასწავლო წლის დაწყებამდე“.

ღმერთო გვიშველ! ამათ რად უნდათ პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი? ამათ ვუმტკიცებდით განათლების საქმეში მეცნიერების მნიშვნელობასა და აუცილებლობას? აგერ, უჩვენოდ არ მოუწვევიათ განათლების ექსპერტები და ფსიქოლოგები? აღარაფერს ვამბობ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებზე. ჩვენ ის გვიკვირს, ბუკიკოსა და ეშტონის მონვევა რატომ დაავინყდათ. ამათგან „ჭკვიაწური“ დასკვნების გამოტანა არ გაგვიკვირდებოდა, მაგრამ

რამ განათლების ექსპერტებად და ფსიქოლოგებად ნეტავი ვინ მოიწვიეს?

სამუშაო ჯგუფის (რომლის წევრები, ალბათ, განათლების ექსპერტები და ფსიქოლოგებიც იყვნენ) წევრების მიერ შემუშავებულმა რეკომენდაციებმა, ერთი ძველი ანეკდოტი გაგვასხენა, რომელიც ზედგამოჭრილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროზე.

მეცნიერების მონადინე ერთ კაცს სამეცნიერო საკვლევ თემად ერთობ აქტუალური სადისერტაციო პრობლემა დაუმტკიცეს: „შესაძლებელია თუ არა თევზის უწყლოდ მოშენება“. დაუნიშნეს სტიპენდია, გამოუყვეს მეცნიერი ხელმძღვანელი და ჰაიდი! სამი წლის საცდელ-ექსპერიმენტული მუშაობის შემდეგ დისერტანტმა დადო კვლევის შედეგები და უტყუარნი დასკვნა: თევზის უწყლოდ მოშენება შეუძლებელია! ხარისხიც მიანიჭეს, რა თქმა უნდა.

რითი არ ჰგავს იმ ანეკდოტური მეცნიერის დასკვნა, ამ არანაკლებ ანეკდოტური სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას: „სასკოლო ასაკი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით განისაზღვროს 6 წლით“ აჰა, როგორი დასკვნაა? წყალი არ გაუვა, ხომ? ყოჩაღ „სამუშაო ჯგუფო“!

ახლა სერიოზულად: გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, ბავშვთა ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური განვითარებაში შემწეულმა აქსელერაციის ერთობ აშკარა ფაქტებმა გააჩინეს გონივრული ეჭვი იმი-სა, რომ ხომ არ შემცირდა სწავლისათვის მოზარდის მზაობის ასაკი. ამის დასადასტურებლად გაიშალა ფართო კვლევით-ექსპერიმენტული მუშაობა. იმდროინდელ საბჭოთა კავშირში ამ პრობლემის კვლევა ძირითადად საქართველოში მიმდინარეობდა. სამი წლის განმავლობაში საქართველოს 70-მდე სკოლაში ტარდებოდა შესაბამისი ექსპერიმენტები, რასაც ცნობილი პედაგოგები და ფსიქოლოგები ხელმძღვანელობდნენ. სამი წლის მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ ბავშვებში სწავლისათვის მზაობა 6 წლის ასაკში ყალიბდება. ჩვენი მეცნიერთა დასკვნები საყოველთაოდ იქნა გაზიარებული და დაიწყეს 6 წლის ბავშვების მიღება სკოლაში („სამუშაო ჯგუფისა“ და განათლების ზემოხსენებული „ექსპერტების“ გასაგონად ვიტყვი, რომ მანამდე 7 წლის ასაკი ითვლებოდა სწავლის დაწყების პერიოდად!). ამასთან, უნდა ითქვას, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის გადამწყვეტას სახელმწიფო მაინც სიფრთხილით მოუკიდა და თავდაპირველად მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები კლასებში ჩარიცხა. მხოლოდ მესამე წელს უნდადეს მოსამზადებელ ჯგუფებს პირველი კლასი.

ამ ოთხი ათეული წლის წინათ ქართველი პედაგოგებისა და ფსიქოლოგების მიერ საფუძვლიანი და ხანგრძლივი ექსპერიმენტული მუშაობის შედეგად დადგინდა სწავლების დაწყების ასაკს ხელახლა ადასტურებენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ექსპერტები“ და „ფსიქოლოგები“ (ეს სიტყვები ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვით, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ამ საკითხის გადასაწყვეტად ისეთი პედაგოგები და ფსიქოლოგები არავის მიუწვევია, რომლებსაც დღეს ჭკუა ეკითხებოდეს!), კიდევ კარგი, რომ ადასტურებენ, მაგრამ იმას კი აღარ იტყვიან, დადასტურება რატომ დაჭირდა იმას, რაც ორომც ნელზე მეტია წარმატებით ხორციელდება.

ესეც არ იყოს, სწავლების ასაკი განათლების კანონის მიხედვით რომ უნდა განისაზღვროს, ამას ლიკასა და თიკას, ნიკასა და ზუკას დასტური სჭირდება? ვაი, ჩვენს პატრონს! ამათ ხელშია საქართველოს განათლების საქმე?! ვინ არიან და საიდან მოვიდნენ ესენი? რაიმე, ოდესმე უსწავლიათ ისეთი, რაც განათლების სამინისტროს თანამშრომელს სჭირდება?

როგორ არ გვიწოდოდა, ამ ჩვენს შეფასებაში ბატონი თამაზ მარსაგიშვილი მოხვედრილიყო, მაგრამ იმ კაცისა არ იყოს, როგორ გამოგვეშინა ბატონი თამაზი და ზოგიერთები იმ საერთო გაუგებრობებიდან: ასე ხომ არა: შენ გეხება, შენ არა, შენ გეხება, შენ არა... ისე, ამ ხელისუფლებამ რომ იცოდეს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ამჟამინდელ სამინისტროსთან სერიოზულ და თავმოყვარე მეცნიერთაგან ბევრს თანამშრომლობა გაუჭირდება.

**საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები, პედაგოგიკის დოქტორები:**  
**ზურაბ ცუცქერიძე,**  
**ოლეგ ალაშიძე,**  
**ზურაბ ქობალია.**  
2014 წლის 10 თებერვალი.

### ალეან-ჩალიანი

**„კაკასუს ონლაინი“ ინტერნეტ მომსახურებას აქვია**

რომელიც „ინტერპრესნიუსს“ კომპანიიდან აცნობეს, მომსახურების გაძვირებასთან ერთად გაიზარდება ინტერნეტის სიჩქარეც.

„კაკასუს ონლაინის“ მინიმალური პაკეტის ღირებულება, რომლის სიჩქარეც 5 მბ-ით იწყებოდა და 20 ლარი ღირდა, პირველი მარტიდან სიჩქარე გაორმაგდება და 10 მბ ინტერნეტის ფასი – ახალ პაკეტში 25 ლარი იქნება. რაც შეეხება დანარჩენი პაკეტების ფასებს, კომპანიის ინფორმაციით, 30 მბ – 35 ლარი, 50 მბ – 45 ლარი, 100 მბ – 100 ლარი ეღირება.

ცალკე შეიქმნა სპეციალური ტარიფი რეგიონებისათვის 5 მბ – 20 ლარად, რომლითაც მომხმარებლები რუსთაგა და ფოთში, მოგვიანებით კი სხვა ქალაქებშიც ისარგებლებენ. თბილისში მომხმარებელი თვითონ აირჩევს რომელი ახალი პაკეტით ისარგებლებს | მარტიდან, ხოლო, თუ მითითებულ პერიოდამდე, მომხმარებელმა ეს არჩევანი არ გააკეთა, ავტომატურად ჩაერთვება არსებული პაკეტით გათვალისწინებული სიჩქარის შესაბამისი ახალი პაკეტი გაზრდილი სიჩქარით. პაკეტის ცვლილების შესახებ ინფორმაციას ყველა მომხმარებელი ინდივიდუალურად სმს შეტყობინების სახით მიიღებს.

ინტერპრესნიუსი

მინანქარი ხელოვნების საკრალური სახეა. როცა 5000 წლის წინათ ძველი ეგვიპტის მხატვრებმა მინანქარი გამოიგონეს, ისინი ცდილობდნენ შეექმნათ ბუნებრივი პატიოსანი თევზის (ლაზურიტი, ძონი, ფირუზი, ზურმუხტი, ოპალი, ლალი და სხვა) ანალოგი მოეღვაწე, კრიალა, შუქმოციმციმე და, რუსთაველი რომ ამბობს „უთვალავი ფერებით“ შემკობილი. ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ადამიანი იყენებდა მათ არა მარტო საიუველირო და გლიპტიკური ნაკეთობების დასამზადებლად, ასევე ტემპერულ საღებავებშიც, რომელთა გამოყენების ისტორია 3500 წელზე მეტს ითვლის. დღესაც განცვიფრებას იწვევს ძველი ეგვიპტელების, ასირიელების, ბერძნების და სხვა ხალხების მიერ დამუშავებული კაშკაშა და მდგრადი მინერალური საღებავები. მაგალითად, ცნობილი წარწერები ეგვიპტელი ფარაონების სარკოფაგებზე შესრულებულია ბუნებრივი მინერალისგან დამზადებული ტემპერული საღებავებით.

თუ სად და როდის მოხდა თავდაპირველად მომინანქრება, ანუ ფერადი მინის გამდნარ მდგომარეობაში ლითონთან დაკავშირება, დღემდე უცნობია. ისტორიკოსები ბერძნების და რომაელების სამკაულების აღწერისას მიუთითებენ მინანქრების გამოყენების შესახებ. მაგალითად, მიკენში (საბერძნეთი) აღმოჩენილია ლითონის ნაკეთობები, რომლებზეც მირჩილულია ლურჯად შეღებილი მინის ფირფიტები, რომელთა შემქმნელია ძვ.წ. აღ. 1425 და 1300 წლებით თარიღდება. ანალოგიური პერიოდებია აგრეთვე კუნძულ კვიპროსზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, დაახლოებით 1200 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ტიხრული მომინანქრების პირველი ნიმუშები ჩნდება დაახლოებით 2000 წ. ჩვენს ერამდე, როცა ეგვიპტისა და საბერძნეთში ძვირფას ლითონებში მასობრივი ხდება ფერადი ქვების ჩასმის ტექნიკა. სწორედ ამ ტექნიკის გამოყენებას უკავშირდება უდიდესი მნიშვნელობა საიუველირო საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის, ვინაიდან მომზადდა საფუძველი ძვირფასი ლითონების გამდიდრებისა ფერადი მოსაკაშში მასალებით; ლითონებზე არსებული უჯრები იყო საფეხური, როგორც ბუდე, უფრო გვიან ტიხრული და ქრილური მომინანქრების ტექნიკისათვის.

ძვირფასი ლითონების მომინანქრებულ ნაკეთობებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში, ოქროს ფუძეზე დამზადებული მომინანქრების ხელოვნებას სავსებით მართებულად მიიჩნევენ ძველი ქართული დეკორატიული ხელოვნების მწვერვალად, დადგენილია, რომ საქართველოსა და ბიზანტიაში მხატვარი შემსრულებლები იყენებდნენ ტიხრული მომინანქრების ყველაზე რთულ და დახვეწილ ტექნოლოგიებს.

ქართული მომინანქრების ნიმუშებს, როგორც რაოდენობრივი თვალსაზრისით, ასევე მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებით, მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს. მაგრამ ბედის უკუღმართობის გამო, მრავალი უნიკალური განძი განადგურებულია ხშირი ომებისა და შემოსევების შედეგად, ასევე გატაცებული და მიმობნეულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებში და კერძო კოლექციებში. საყურადღებოა აკად. შ. ამირანაშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ანტიკური ხანაში ოქროს საიუველირო ნაკეთობათა პოლიქრომაში ფერადი მინა ცვლის ძვირფას და ნახევრადძვირფას ქვებსა და პასტას, „რომ უკვე ჩვენს წელთაღრიცხვის II საუკუნეში ჩნდება პირველი ტიხრული მომინანქრების ნიმუშები“.

რაც შეეხება საქვეყნოდ ცნობილ ხახულის კარედს, რომელიც გვანცვიფრებს თავისი გრანდიოზულობით (100-ზე მეტი ფირფიტა, VIII საუკუნიდან მოყოლებული XII საუკუნის ჩათვლით) იგი ტიხრული მომინანქრების მთელი „მუზეუმი“ა. ქართული ტიხრული მინანქარი უმაღლესი სინჯის ოქროზე კეთდებოდა, ასევე ტიხრებიც ოქროსგან მზადდებოდა, იყენებდნენ, აგრეთვე, ოქროსა და ვერცხლის შენადნობებს — ელექტრუმს.

დიდი ცოდნა და გამოცდილება არაა საჭირო იმისათვის, რომ მინანქარი მოვათავსოთ ლითონის (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი) ფირფიტაზე განლაგებულ მცირე ზომის უჯრედებში. მაგრამ მომინანქრების ტექნიკა რთულ ფიზიკურ და ქიმიურ პროცესებთანაა დაკავშირებული. მინანქრის შემადგენლობები, მათი მომზადების ხერხები, ლითონზე გადატანის მეთოდები, მინანქარსა და ლითონს შორის კავშირის საკითხები, ტემპერატურისა და აირის გარემოს გავლენა გამოწვევის პროცესში, მინანქრის ულასტიკურობის ხარისხის გავლენა პროდუქტის თვისებებზე, უამრავი უნის სახეები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას მომინანქრების ტექნოლოგიაში და მრავალი სხვა, დღემდე არაა სრულყოფილად შესწავლილი. ამიტომ დღეს მხატვრული მომინანქრების ტექნიკა და ტექნოლოგია, მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, ჯერ კიდევ ემპირიულ საფეხურზეა.

საქართველოში პირველი ტიხრული მინანქრები დათარიღებულია ჩვენს აღ. II-III საუკუნეებით, ადრეული ქრისტიანული ხანის ნიმუშები VII-IX საუკუნეებით, მინანქრების უმეტესი ნაწილი კი XI-XII საუკუნეებისაა. სამწუხაროდ, მომდევნო საუკუნეებში შეიმჩნევა ტიხრული მინანქრის ტექნიკური და მხატვრული ფინის მკვეთრი დაქვეითება, რაც გაუთავებელმა შემოსევებმა და ქვეყნის ეკონომიკურად განადგურებამ გამოიწვია. XIII-XV საუკუნეებში მცირე რაოდენობით დამზადებული მინანქრები კვრ შეედრება ადრეულ ხანებში შესრულებულ ძველებს, მომდევნო საუკუნეებში კი მინანქრის დამზადება შეწყდა. მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში კვლავ განახლდა მინანქრის წარმოება ჩვენში. შეიცვალა მინანქრის და მომინანქრების დამზადების ტექნოლოგია. ტიხრული მინანქრის სინთეზის საიდუმლოება უკვე დაკარგული იყო.

ყველაზე პრობლემურ და მტკივნეულ საკითხად დღეს მიგვაჩნია მხატვრული მინანქრების ადგილობრივი წარმოების



პროფესორი გურამ გაფრინდაშვილი და ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (ბახრაძე).

# ქართული მინანქრის ანბანო და მომავალი

არარსებობა, მიმდინარეობს არაორგანიზებული იმპორტი საფრანგეთიდან, ავსტრიიდან, აშშ-დან, იაპონიიდან და სხვა ქვეყნებიდან. იყო და არის მხატვრული მინანქრების მიღების მცდელობა, მაგრამ ისინი ხარისხით ჩამოუვარდება აღნიშნული ქვეყნებიდან შემოტანილ მინანქრებს, მათი გამოყენება შეიძლება ფართო მოხმარების და ტექნიკური დანიშნულების ნაწარმის მომინანქრებისათვის და არა ძვირფასი ლითონების დასაფარავად.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩვენს მიერ პროფ. კალისტრატე ქუთათელაძის ხელმძღვანელობით, თბილისის ქარხანა „გაზოპარატი“ ადგილობრივი ნედლეულების გამოყენებით დაინერგა ტექნიკური ფერადი მინანქრები გაზაქურებისა და საოჯახო დანიშნულების ჭურჭლის დასაფარავად.

ჩვენი ყურადღება მიიქცია სულხან-საბას ლეჟიკონში მოყვანილმა განმარტებამ: „სინგური და სინგური წითელი სახატავია, ვერცხლის წყალთა და გოგირდთა ცეცხლში გაზოდნობენ“, სოლო გ. ჩუბინაშვილი წერს: „სინგური — ვერცხლის წყალი და გოგირდი, ცეცხლით შეზავებული და განითლებული, ისმარების სამხატვრო ნამლად, კინოვარი“. ამ განმარტებამ მოგვცა სტიმული შეგვექმნა სრულიად ახალი მიმართულება პიგმენტების სინთეზის საქმეში, რაც ემყარება არა უშუალოდ ფერის მატარებელი ოქსიდების გამოყენე-

**„ქანდაკების უპირატესობა — ესაა მდგრადობა დროში. მაგრამ თუ ფერწერა შესრულებულია მინანქრის საღებავებით და შეიძლება მოთავსებულია სეხსლში და გამოინჯება, მაშინ ხანგრძლივობით ქანდაკებასა ალიმატება. თუ ბრინჯაოს ქანდაკება ხანგრძლივად, ფერწერული მინანქარი მარადიულია“ — (ლეონარდო და ვინჩი „შეღებულის ხელოვნება“).**

ბას მინანქარში, არამედ პერიოდული სისტემის გარდამავალი ელემენტების სპეციალური თერმიული დამუშავებით მიგველო ნებისმიერი ფერისა და ელფერის პიგმენტი, რომლებიც გამოირჩევა მტკიცე სტრუქტურის კრისტალური მესერიტით, ხასიათდება მაღალი ქიმიური და ტემპერატურის მიმართ მდგრადობით (ლლობის ტემპერატურამდე არ იშლება) და აქვს შუქტების მაღალი კოეფიციენტი.

დღემდე ცნობილი ხუთი კატეგორიის (მცენარეული, ცხოველური, მინერალური, მცენარეულ-მინერალური, ნახშირის) ფერწერული საღებავებიდან დიდი უპირატესობა ენიჭება მხოლოდ ბუნებრივ მინერალურ საღებავებს, ვინაიდან მათ ახასიათებს მდგრადობა სინათლის, ტემპერატურის და ქიმიური აგენტების მიმართ. მინერალურ საღებავებს იყენებდნენ თავიანთ შემოქმედებაში აღორძინების ეპოქის გენიალური მხატვრები: ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, ტიციანი, რაფაელი და სხვები. მაგრამ ბუნებრივ მინერალურ საღებავებს აქვთ ერთი ნაკლი — არ გააჩნიათ ერთგვაროვანი ტონი, ფხვნილისებურ მდგომარეობაში გადაყვანილი

და გულმოდგინედ გარეცხილიც კი, საკმაო ოდენობით შეიცავენ გამაჭუჭყიანებელ მინარევებს, რომლებიც ამცირებენ მათ სიკაშკაშეს, დიდი შრომაა საჭირო, ბუნებრივი მინერალური საღებავების კონდენცირებულ მისაყვანად.

ანტიკურების მუზეუმში, როგორც ძვირფასი რელიკვია, ინახება რუბენის საგზაო ჩემოდანი, რომელშიც არის დიდი მხატვრის მიერ შეგროვებული სხვადასხვა სახის ბუნებრივი საღებავები. აღსანიშნავია, რომ მინერალურ საღებავებს დღემდე შენარჩუნებული აქვთ თავიანთი პირვანდელი სახე, ხოლო ორგანული წარმოშობისანი კი საგრძობად გაუფერულდა.

ასეთი შედარება არამც და არამც არ შეიძლება ეხებოდეს ჩვენი მეთოდით სინთეზირებულ პიგმენტებს, ვინაიდან გეოლოგიური პროცესების ევოლუცია, რომელიც გაიარა ლაზურიტი, ოქრამ, გლაუკონიტი, უმბრამ, აზურიტი, აური-პიგმენტმა და სხვა მინერალმა ვულკანური მოქმედებიდან დღემდე, ანალოგიურია და შესაბამისობაში მოდის მტკიცე სტრუქტურის მქონე პიგმენტების სინთეზთან, ვინაიდან შემოთავაზებული მეთოდი დაკავშირებულია მაღალ ტემპერატურულ სინთეზთან და არა კოლბებსა და სინჯარებში ქიმიური რეაქციებით მიღებულ ნაკლებად მდგრადი პიგმენტების შემთხვევაში.

გარდა ზემოაღნიშნული სიძნელეებისა, რომელიც ახლავს ბუნებრივი მინერალური საღებავების გამოყენებას, მათი მარაგები მსოფლიო მასშტაბით დიდად შემცირებულია, ხოლო ზოგიერთი მათგანი დღეს აღარც არსებობს.

დამუშავებულია კერამიკისა და მინის მხატვრული ნაწარმის დეკორირების სრულად ახალი მიმართულება, რომლის არსი ილაში მდგომარეობს, რომ ტიხრული მომინანქრების ტექნიკაში ფუძე მზადდება არა ლითონისაგან, არამედ სპეციალურ დაბალ ტემპერატურაზე შეცხოვადი თერმიულად მდგრადი კერამიკული ან მინის მასისაგან, რომლებზეც ტიხრების დამაგრება შესაძლებელია, როგორც ალიზის მდგომარეობაში, ასევე თერმიული დამუშავების შემდეგ. ტიხრული კერამიკის (მინის) სინთეზის ტექნიკა ტრადიციულ ლითონების ტიხრულ მომინანქრებასთან შედარებით ხასიათდება ტექნოლოგიური პროცესების მნიშვნელოვანი გამარტივებით და ეკონომიკურობით: გამოირჩევა ფუძის წინასწარი მომზადება (გამონვა, მუავაში დამუშავება, კრაცირება) არ არის აუცილებელი კონტრ-მინანქრის გამოყენება, არ საჭიროებს ფუძეზე დამცავი გრუნტის (ფონდონი) დაფენას, არ მოითხოვს მოსამინანქრებელი მასალის შედაპირის „გაკეთილშობილებას, არ არის ფუძით მინანქრის შეღებვის საშიშროება, გამორიცხულია ფუძით ლარჩინი დაძაბულობის ძალების არსებობა, კომპოზიცია ლითონი-მინანქარი ორი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მყარი ტანია, მინა-მინანქარი, კერამიკა-მინანქარი სტრუქტურულად თითქმის ანალოგიურია, რაც უზრუნველყოფს მტკიცე კავშირს ფუძესა და მინანქარს შორის (დაცულია საქართველოს პატენტით).

ტიხრული მომინანქრების ტექნოლოგიაში პირველად დამუშავებულია დეკორირების ახალი მეთოდი, რაც გულისხმობს ალდგენითი ცეცხლის ტექნიკით სრულიად განსხვავებული ფერის მხატვრული მინანქრების სინთეზის შესაძლებლობას. ღუმელში აღმდგენელი აირების მოქმედებით სპეციალური შემადგენლობის მინანქრებზე მიიღება მტკიცე სადაფისებური, პერლამუტისებური, ლითონისებური სიკრილის შედაპირი ცისარტყელისებური ელფერები, მოულოდნელი ქრომატული ფერების პალიტრა შეუძლებელია გამოვხატოთ ჩვეულებრივი, საერთოდ მიღებული ტერმინებით. ალდგენითი ცეცხლის მინანქრების შედაპირი არ მოითხოვს ისეთი შრომატევადი ოპერაციების ჩატარებას, როგორცაა გახეხვა-გაპირილება, ან დამატებითი თერმიული დამუშავება (დაცულია საქართველოს პატენტით).

აღნიშნულ სამუშაოებს გაეცნო და ლოცვა-კურთხევა მოგვცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მისმა უწმინდესობამ ილია II. ისინი დადებითად შეაფასა საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ და ამავე მუზეუმის ტექნოლოგმა შუა საუკუნეების მინანქრის დარგში ერმილე მალარაძემ.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ალავერდის ვიქტორის ფარგლონი (ქ.თელავი, შუამთის მიმდებარე ტერიტორია) აშენდება თანამედროვე კერამიკული „სასწავლო საწარმო“, რომელიც გამოუშვებს დვინის ქვეყნებს (შტანდარტის იუნესკოს კულტურულ მემკვიდრეობაში), რომლის ტექნოლოგიაშიც პირველად გამოყენებული იქნება წერტილის ტექნიკა, შიგა შედაპირზე ფორების რეგულირება, კვებში სასურველ ფარგლებში გამოწვის პროცესში მულტი-კორდიერის კრისტალების იძულებითი წარმოქმნა, ძვლის ფაფურს, სასულიერო და საერო ფერწერის პიგმენტებს (საღებავებს), მხატვრულ მინანქრებს, ახალი კლასის ვიტრაჟულ მინებს.

სიმბოლურია, რომ საწარმო აშენდება ალავერდის სამონასტრო კომპლექსის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ქართულ მართლმადიდებლურ ცენტრს, რომლის წინამძღოლი და მომავალი საწარმოს მშენებლობის სულისჩამდგმელი ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი. საწარმოს მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან, რომელმაც მხარი დაუჭირა მომავალი საწარმოს დაფუძნებას, და გამოხატა მთავრობის სრული მხარდაჭერა საქართველოში თანამედროვე სასულიერო და საერო მასალების წარმოებელი ქარხნის აშენების მიმართ.

**გურამ გაფრინდაშვილი, საქართველოს გეიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი**

ადრეც ვწერდი და კვლავაც გავიმეორებ, ახლანდელი მთავრობის კომპეტენტურობასა და თავმოყვარეობას რა ვუთხარი, თავი მიშნაცების სამსახაროდ რომ გაინადა, თორემ თავის დროზე ნაცზროვისთვის მისი „დამსახურების“ მინდევით საკადრისად რომ მიეზლო, ახლა ხალხის წინაშე გედებივით კი არ იყვლყვლავებდნენ, ჩიტლაყამოკრული ლეკვებივით იწკმუტუნებდნენ. მაგრამ რადგან ეს არ მოხდა, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ხალხის არჩეული კოალიციური მთავრობა მისას ნარჩენების დასაცინი და ჭკუის დასარიგებელი გახდა. ასეა, ნაცბანდელების აზრით, ამჟამინდელი მთავრობა უუნარო და უქნარა გამოდგა, სახელმწიფოსა და ეკონომიკის მართვისა არაფერი გაეგება, ოპოზიციასაც არაფერს უჯერებს და ქვეყანა თვალსა და ხელს შუა გვეცლება(!).

მას შემდეგ, რაც ხალხმა თავისი არჩევანით ნაცზროვა ხელისუფლებას ჩამოაცილა, ისინი პირდაპირი მნიშვნელობით ძალადობას ვეღარ ახერხებენ, მაგრამ სამაგიეროდ ის ძალადობა ახლა უტიფრობაში გადაიზარდა (თუმცა ზნეობითა და მორალით ვერც მანამდე დაიკვებნენ). „ნახეთ როგორი ტერმინებით გვესაუბრებიან, — განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ პრეზენტაციაზე მისმა დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა, — როგორ გვიკითხავენ მორალს და ჩვენ გვდევენ ბრალს იმაში, რასაც თვითონ აკეთებენ. საზოგადოებას ეგონა, რომ ისინი ბოლოშს მონადიდნენ, ნაცვლად ამისა, იქიდან მივიღეთ ირონიული ღიმილი, უკაცრავად და, ენას გვიყოფენ, ისევე შეურაცხყოფას გვაყენებენ“.

მეტი უტიფრობა რა გინდა, იმავე დღეს, როცა ბიძინა ივანიშვილმა ეს განცხადება გააკეთა, ნაცზროვის „ენა-ჭკერმა“ იდეოლოგმა გიორგი ვაშაძემ აქეთ შემოუტია მთავრობას, უუნაროები და უსუსურები ხართ, სამართლიანობის აღდგენის დაპირებით ხალხი მოატყუეთ და არც ერთი გამოძიებული საქმე ბოლომდე არ მიიყვანეთო. ხედავთ, სადამდე შეიძლება მივიღეს ნაცების ცინიზმი და შუბლქარლვგან ყვეტილობა! იმის მაგივრად, რომ ჩადენილი მძიმე დანაშაულობებისთვის მკაცრი სამართლებრივი პასუხისგების შიშით ლობე-ყორეს ეფარებოდნენ, აქეთ უკიჟინებენ მთავრობას — ეს რა უქნარები ყოფილხართ, აშკარა დამნაშავეები ვერ გაგისამართლებით და თქვენ ქვეყანას როგორ გაუძღვებითო. და არც მალავენ, რომ მეოცნებებმა თუ ხალხის ოცნებას ფრთები შეაჭრეს, ნაცები იძულებული გახდებიან, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მალე უკანვე მობრუნდნენ(!).

მობრუნდებიან არა რას იზამენ, ნაციონალებმა „მოცუნებებს“ მალაღი დემოკრატიული შესტითა და ევროპულანტიკური ცივილიზაციის ნორმების დაცვით იმიტირ კი არ დაუთმეს ადგილი ხელისუფლებაში, რომ ამათ მთელი დრო მცონარობასა და უსაქმურობაში ეტარებინათ, რაც ნაცების აშენებული იყო, ისიც დაენგრიათ და ახალი არაფერი შეემატებინათ. ასე რომ სცოდნოდა საკუთარ ქვეყანასა და ხალხზე უზომოდ შეყვარებულ მიხეილ სააკაშვილს, ვინ მამაძალი პრეზიდენტობას დათმობდა და ოკეანის გაღმეთში ლექციების წასაკითხად გადაიხვეწებოდა(!).

ჰოდა, ნაცზროვამ, იმის მაგივრად, რომ ჩადენილი დანაშაულის დარად თავდაცვაზე ეზრუნა და პირში წყალი ჩაეგუბებინა, ენა გადმოაგდო და სახელმწიფო მმართველობაში ახლად ფეხადგმულ „მოცუნებებს“ საბძლის კარამდე სდია. საამისოდ რაღაც „კომპრომატებიც“ გამოუძებნა. ამითგან უმთავრესი ის გახლავთ, რომ გასული წელი სახელმწიფო ბიუჯეტმა მილიარდამდე ლარის გარდევით დაამთავრა, ახლა კი იგივე მთავრობა, გაზრდილი სოციალური და მთელი რიგი სხვა ვალდებულებებით რომ შესასრულოს, იძულებულია დამტყულები კიდევ მილიარდიანი ვალი წამოიკიდოს. ამაში ისინი ძირითადად ლოყებგაბერილ ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურს ადანაშაულებენ და მასვე აბრალებენ იმასაც, რომ ბოლო პერიოდში ლარი მნიშვნელოვნად გაუფასურდა და ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობას არა ერთი და ორი პრობლემა შეუქმნა.

აი, ხომ ხედავთ, ნიშნის მოგებით გაჰყვირიან ნაცები, ჩვენ წელეზე ფეხს ვიდგამდით, ყოველწლიურად ვზრდით საბიუჯეტო შემოსავლებს და შესაბამისად, ხალხის კეთილდღეობას, ამით კი ბიუჯეტზე ჩააგდეს და სახელმწიფოს იმხელა ვალები წამოჰკიდეს, მისი გასტუმრება არა მარტო ჩვენ, მომავალ თაობებსაც გაუჭირდებათო. ნაცბანდელმა ლიდერებმა ხსენებული ბრალდებები არასაკმარისად მიიჩნიეს და ამ დღეებში თავად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი ნეპოტიზმში დაადანაშაულეს. ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ლევან ბეჟაშვილმა და ირმა ნადირაშვილმა, მთელი ეს კორუფციული დანაშაული თვალსაჩინო და გამჭვირვალე რომ ყოფილიყო, სპეციალური დიაგრამა დახაზეს და ტელემაყურებლების წინაშე „გაშიფრეს“. აი, საკუთარი თვალით ნახეთ, ბატონებო, რა ფორმით ცდილობენ, თვალები აგვისვიონ ხელისუფლებაში ახლახან მოსულმა მეოცნებებმა ხალხის ქონების მისათვისებლად და კორუფციაში ჩართული უმაღლესი ხელისუფლების ახლო ნათესავები და მეგობრები ჩამოთვალეს. კერძოდ, განაცხადეს, რომ პრემიერის მეუღლის ნუნუკა თამაზაშვილის ბიძაშვილი იოსებ ქადაგიშვილი დანიშნულია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ და სატენდერო კომისიის თავმჯდომარედ. კომპანია „სერპანტინის“ 51-პროცენტის ნილის მფლობელია თამარ ჯანყარაშვილი, რომელიც შს



# „უუნარო“ მთავრობა და „მარიუათიანი“ ნაცბანდა მიუნახვის ღავლაში უნდა დამთავრდეს!

მინისტრის მოადგილის გიორგი ზედელაშვილის დედა და შსს გენინსპექციის უფროსის, თამაზაშვილის დის-შვილის ახლო ნათესავია. ერთი წლის განმავლობაში საგზაო მშენებლობაში გამოცხადებულ ტენდერებში აღნიშნულმა კომპანიამ ცხრაჯერ გაიმარჯვა და 15 მილიონი ლარის მოცულობის სამუშაოები ჩამონათვალა. ადრე კი, მთელი 8-9 წლის მანძილზე ამ კომპანიას თურმე 6 მილიონის საქმეც ძლივს გაუკეთებია(!).

მკითხველის მოთმინებით არ ვისარგებლებ და მის ყურადღებას ყველა იმ ბრალდების ჩამონათვალთ არ გადავლავლებ, რომლებიც ნაცებმა ჭორების დონეზე პრემიერის დისკრედიტაციის მიზნით გაახმაურეს, მაგრამ გვიას (თარგამაძეს ვეგულისხმობ) ნაუბარს მაინც ვერ შევლევთ, თუნდაც იმიტირ, რომ ტელედებატებში მონაწილეობისას, ადრინდელთან შედარებით, ენას გაცილებით „ლაღად“ იქნევდა და კრიტიკის ობიექტსაც უფრო „მარჯვედ“ კენწლავდა. ეგ თქვენი „ფერმკრთალი“ მინისტრი, თქვა დავით ნარმანიას მისამართით, დიდ სახელმწიფო მოღვაწედ რომ ასაღებთ, სინამდვილეში ერთი უქნარა და ზარმაცი ვინმეაო, მაგან მთელი წელიწადი ისე იჩინა, რომ სოფელ რუისთან 1,5-კილომეტრიანი გზის გაყვანას მოანდომაო. როგორც გაირკვა, ეს „ფაქტიც“, ისევე როგორც ბევრი სხვა ბრალდება, მტკნარი სიცრუე გამოდგა, ხსენებულ სოფელთან გზა 1,5 კილომეტრზე კი არა, თურმე 15 კილომეტრდე დაეგო(!).

ტყუილის სუნით აყროლდა ყველა სხვა ბრალდებაც, რომლებიც ნაციონალებმა ცილისმამებლურად შეთხზეს. ეს ტელედებატებში მონაწილეობისას საჯაროდ გამოამზერა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბეგუელიამ, რომლის მტკიცებით, „სერპანტინთან“ თამაზ თამაზაშვილსა და მის ოჯახს არავითარი კავშირი არა აქვს. ეს კომპანია გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან არსებობს და მისი წლიური ბრუნვა ყოველთვის აღემატებოდა რამდენიმე მილიონიან მაჩვენებელს. როცა საუბარია გიორგი ზედელაშვილზე, როგორც ამ ბიზნესის მფლობელზე, ეს სრული სიცრუეა, რადგან გიორგის მამა ადრევე იყო ამ

კომპანიის შემქმნელი, ხოლო დედა მისი მფლობელი ჯერ კიდევ 2000 წლიდან გახდა.

ნაცების მონაჭორს გამოეხმაურა საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე იოსებ ქადაგიშვილი. „ნაცების განცხადება რომ სიცრუეა და ცილისწამებაა, ამბობს ის, ჩანს იმ მარტივი მიზეზიდან, რომ დედაჩემი დედისერთაა და ვერგვის მამიდაშვილი ვერ ვიქნები. ჩემს ადვოკატს უკავი ვესაუბრე, რომელიც სარჩელს ამზადებს და ნაცების ავანტიურას და თავგასულობას სასამართლო გამოაშკარავებს“.

აბა როგორ, კანონმა მკაცრად უნდა აგებინოს პასუხი ცილისმამებლებს, რათა „მოცუნებთა“ მისამართით ამტყვადონ მისწინავე ცრუ ღვალავი ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს. თანაც ვინ ღვალავებს, არ იკითხავთ? სწორედ ის, ვისაც კანონდარღვევებით, იგივე ნეპოტიზმითა და კორუფციით ყველაზე მეტად აქვს ზურგი დასვრილი და ეს რომ არგამჟღავნდეს, იქით სხვებს ათას სიბინძურეს აბრალებს. ფაქტები გაინტერესებთ? ნებეთ რამდენსაც მოისურვებთ!

არ გაგიკვირდეთ, მოულოდნელად თუ შეიტყობთ, რომ ამ ჩვენს წმინდან ნაციონალებს, რომლებიც თავს უცოდველ კრავებდად გააჩვენებენ, თურმე კორუფციის მორევიდან, რომელიც მათ „ვარდების რე-

ვოლუციის“ შემდეგ დააგუბეს, არა ერთი და ორი „ღლავი“ ამოათრიეს. ეს ამბავი სულ ახლახან არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ გაახმაურეს, რომელთაც სრულიად შემთხვევით „აღმოაჩინეს“, რომ ნათესავებზე გაფორმებული კომპანიებიდან გიგა ბოკერია 45 მილიონი, გიგი უგულავამ — 13 მილიონი, ხოლო გიგი თარგამაძემ — 8 მილიონი ლარი მოგება მიიღეს. იქვე გამოფრულია, რომ გიგა ბოკერიას მამა, ლევან ბოკერია, სამშენებლო კომპანია შსს „ღობოს“ ასპროცენტის მფლობელია, ხოლო გიგას ცოლის და, რუსუდან ჩერგოლიშვილი, სარემონტო ფირმა შსს „ოლივიზიანის“ დამფუძნებელია, რომელიც კომპანიაში 50-პროცენტის ნილს ფლობს. გიგი უგულავას ოჯახის ინტერესები იკვებება კომპანიებში: „მანი“, „ჯეოლენდი“, „თ.ფ.“, „ლთ ჯგუფი“, რომელთა დამფუძნებლები და მენილეები ფლობენ ძვირადღირებულ უძრავ ქონებას ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. რაც შეეხება გიგი თარგამაძის ოჯახს, მას იმდენი კომპანიის ბიზნესები აქვს „მეორეთხელი“, რომ საგზაო ნერილი მათ ჩამონათვალს უბრალოდ ვერ დაიტევს...

აი თურმე ახლანდელი უსუსური მთავრობის მაგინებელი მარიუათიანი ნაცები თავად რა სიბინძურეებს სწავლიდნენ, როცა ქვეყანას „დემოკრატიულად“ და ევროპულანტიკური „გამოცდილებით“ მართავდნენ. „ქართულმა ოცნებამ“ წინამორბედის „მილნეები“ რომ არ გაიმეოროს, ამიტომაც დააარსა ბიძინა ივანიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“, რომლის პრეზენტაციაც ამ დღეებში გაიმართა. იგი მიზნად ისახავს არსებული ხელისუფლების კონტროლს როგორც არჩევნებამდე, ისე არჩევნების შემდეგ. „ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, — განაცხადა ყოფილმა პრემიერმა, — რომ ჩვენ ვერ ვისწავლეთ ხელისუფლების დაქირავება, ხალხმა არ იცოდნა, როგორ აერჩია და როგორ ეკონტროლებინა ხელისუფლება“. მას იმედი აქვს, რომ ხალხი ამ ფუნქციის შესისხლხორცებს და, შესაბამისად, მთავრობაში მომუშავე ჩინოვნიკებს, საზოგადოების რეაქციის გათვალისწინებით, ძვირადღირებული „ჯიპების“ შეძენის სურვილი აღარ გაუჩნდებათ.

თუმცა რამდენად კომფორტულად იგრძნობს თავს ახალი ხელისუფლება დაქირავებულის, ხოლო საზოგადოება — დამქირავებლის ამპლუაში, ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია, მით უფრო, რომ თავად ბიძინა ივანიშვილის განცხადებებში მთავრობისადმი კრიტიკული დამოკიდებულების სურვილი მაინდამინც არ გამოვლენებულა. ამან ზოგ ექსპერტსა და პოლიტოლოგს მისცა საბაბი „ქართული ოცნების“ თონენტებისთვის ირონიული რჩევა მიეცა: აცალეთ, ცოტა მაინც აცალეთ, ბატონებო, „მოცუნებე“ კოალიციის ცხოვრების სიკეთებით ტკობა, თორემ თქვენ რომ ხელისუფლებაში მოხვალთ, აღარც ისინი დაგაცლიანო“.

რამდენად რეალურია ექსპერტთა და პოლიტოლოგთა რჩევა და თავად მათვე დასჭირდებათ თუ არა საზოგადოების მაკონტროლებელი თვალის — „მოქალაქის“ მონიტორინგი, ამას ახლო მომავალი გვამცნობს.

ოთარ სუციშვილი

## ალბან-ჩალიანი

### მართლა საყდრის შენობა მიუნახარის თანამდებობაზე ყოფნა?

მარტინი მიუნახარი თანამდებობიდან გათავისუფლებას კულტურულ მემკვიდრეობას, ვერძოდ, საყდრისის თემის უკავშირებს. ამის შესახებ კულტურის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ მარინა მიუნახარმა გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

— კულტურული მემკვიდრეობის თემა ერთ-ერთი მაინც მნიშვნელოვანი საკითხი იყო, რამაც ძალიან გამაშვავა ბოლოს მდგომარეობა, ხოლო საყდრისის თემამ საგანგებოდ იყო დიდი ლობი საწარმოს მსრიდან, იყო გარკვეული ზენოლაც და ამდენად, ძირითადი უთანხმოების საგანი ის იყო, რომ ჩვენმა უნებამ, რომელსაც პასუხისმგებლობა აქვს თავისი დარგი დაცვას, ვერ დავიცვა სათანადოდ და დღემდე ვერ იცავს, — განაცხადა მიუნახარმა.

მისივე თქმით, კულტურის სამინისტრომ ასევე ვერ მოახერხა სათანადოდ დაფიქსირებინა თავისი პოზიცია საყდრისის შესახებ ისე, რომ მინისტრთა კაბინეტისთვის ცხადი ყოფილი-

ყო, რამდენად მნიშვნელოვანია საყდრისის საკითხი. — მე ვფიქრობ, ჩემი მოსხნის საკითხი დაძრა სწორედ საყდრისის თემამ, იმიტირ, რომ იქ იყო პრინციპული უთანხმოება. მე ვერ ვიტყვი, რომ მინისტრს არ ესმოდა ამ ძველის მნიშვნელობა, უბრალოდ, ჩვენი უთანხმოების მიზეზი იყო ის, რომ მინისტრმა სათანადოდ ვერ დააფიქსირა თავისი პოზიცია, ვერ მოახერხა ის, რომ მონიტორინგის ჯგუფი შესულიყო ამ ობიექტზე და ჩვენ გვეცოდნოდა რა ხდება დღეს იქ, — განაცხადა მარინე მიუნახარმა.

კულტურის მინისტრის ყოფილი მოადგილე აპირებს სასამართლოში გაასაჩივროს მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანება, რადგან მიიჩნევს, რომ ამ ბრძანებაში ბევრი ბუნდოვანი საკითხია. რაც შეეხება მომავალ საქმიანობას, მიუნახარმა აღნიშნა, რომ ჯერ არ გადაუწყვეტია, სად გააგრძელებს მუშაობას, თუმცა აღნიშნა, რომ კულტურის სფეროში დარჩება.

ინტერპრესი

წილს 22 იანვარს ჯორჯ ბალანჩინის დაბადებიდან 110 წელი შესრულდა. თუმცა „ნიუ იორკ სითი ბალეტს“ (New York City Ballet - NYCB) მისი დამფუძნებლის ეს იუბილე გამორჩეული პომპეზურობით არ აღუნიშნავს უბრალო მიზეზის გამო. იგი ლინკოლნ ცენტრის სახელოვნებო სივრცის გადაჭედილ დარბაზებში წლიდან წლამდე, სეზონიდან სეზონამდე, ყოველდღიურად, რუტინულად, ამერიკული ბალეტის მამის დაბადებასა და გარდაცვალებას ისედაც აღნიშნავს

ერთ-ერთი ავტორიტეტიანი კატალოგის მიხედვით ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფიულ ნაშრომთა რაოდენობა 465-ია. 1933 წლამდე ცნობილი ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის ვაჟი გიორგი ბა-



ჯორჯ ბალანჩინი

ირთხელ ჯორჯ ბალანჩინს უთქვამს: „სისხლით ქართველი ვარ, კულტურით რუსი და ეროვნებით პეტერბურგელი“. პეტერბურგელია ეს რუსობას არ ნიშნავს, პეტერბურგი მაშინ ევროპული და კოსმოპოლიტური ქალაქი იყო... მან ეს სიტყვები ალბათ, მანამდე წარმოთქვა, სანამ ნიუ იორკში გაემგზავრებოდა. წესით, ეს „კოსმოპოლიტიზმი“ უფრო მსოფლიო დედაქალაქისთვის იქნებოდა დამახასიათებელი, ვიდრე რევოლუციისა და ბოლშევიზმის ქარცეცხლში გახვეული რუსეთის იმპერიის მნიშვნელობით მერვე ქალაქისთვის. 1924 წელს ბალანჩინმა სხვა სამ საბჭოელ მოცეკვავებს თან ერთად სსრკ-ის ტერიტორია დატოვა... საცეკვაო მრავალფეროვნების ქალაქების, თეატრების, სცენებისა და თავისუფლების საძიებლად. მანამდე კი: მუსიკას ხუთი წლის ასაკიდან სწავლობდა, რაც ქორეოგრაფებს შორის არც ისე ხშირია; სწავლობდა კონსერვატორიაში, სადაც ფორტეპიანოს, ვიოლინოს, სამუსიკო თეორიას, ჰარმონიასა და კონტრაპუნქტს ეუფლებოდა. ცხადია, ეს ცოდნა და გამოცდილება მას შემდგომ მუსიკის ცეკვაში გადატანაში დაეხმარა და იმაშიც, რომ ადამიანის სხეული, როგორც მედიუმი, ქორეოგრაფიული თამაშისა თუ ალუზიის განსხეულებისთვის გამოყენებინა. ბალანჩინი მუსიკას მთელი ცხოვრების განმავლობაში თავადაც წერდა. ოღონდ, როგორც ამბობენ, მხოლოდ თავისთვის, არასაცენო შესრულებისთვის.

ჯორჯ ბალანჩინმა საკუთარი პირველი ქორეოგრაფიული დადგმა ათი წლის ასაკში განახორციელა, როცა მარიინსკის თეატრში ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავს“ დაგმადნენ. შვიდი წლის შემდეგ კი კორდე ბალეტის წევრი გახდა და დადგა კიდევ თავისი პირველი ნამუშევარი სახელწოდებით „გამოცანა“. მაგრამ მისი ქორეოგრაფიის ნოვატორული ხედვა მაშინდელი რუსული ბალეტის განვითარებაზე გავლენას დიდად არ და ვერ ახდენდა. რუსული საბალეტო სცენა თითქოს გაიყინა და განვითარება შეწყვიტა. სცენის გარეთ პოლიტიკური ვენებები ბოხოქრობდა, იხანადა რევოლუციონერი მელამურები/თეატრის მაყურებლები და „ახალი ადამიანის“ შემქმნელები ბალეტს ბრძოლისგან დასვენების, გართობადროსტარების ადგილად უფრო აღიქვამდნენ, ვიდრე სერიოზულ ხელოვნებად. ამას ემატებოდა ისიც, რომ რუსული საბალეტო კლასიკური ქორეოგრაფია მონოტონური, უფერული და უინტერესო სფეროდ რჩებოდა. ამიტომ ლოგოკურიცაა ის, რომ ბალანჩინმა საბოლოოდ დატოვა რუსული „კოსმოპოლიტიზმი“ ქალაქი და ქვეყანა და თვითრეალიზაციისთვის და ხელოვნებაში „პოლიტიკური“ რევოლუციის მოსახდენად ჯერ ევროპაში, მერე კი – ამერიკაში გაემგზავრა. კერძოდ კი სუპერკოსმოპოლიტური ნიუ იორკში, რომელსაც ისევე უყვარს თავისი მთავარი ქორეოგრაფი, როგორც ამ ქორეოგრაფს – ბალეტს.

სანამ ევროპაში ჯორჯ ბალანჩინი სპექტაკლებს წარმატებით დაგმავდა, სანამ სერგეი დი-აგლეჯთან, ბერტოლდე ბრენტანთან, კურტ ვაილთან, იგორ სტრავინსკისთან, პაველ ჩელი-შევითან, დარიუს მილაუჯთან, ჰენრი საუ-გიუტთან და მსოფლიო სახელგანთქმულ საბალეტო დასებთან ურთიერთობდა, ამერიკელი მწერალი და ცნობილი იმპრესარიო ლინკოლნ კირსტინი ამერიკული საბალეტო სკოლის დაარსებაზე ოცნებობდა. ერთხელაც მან რუსული ბალეტის შესრულებით ბალანჩინის დადგმული „აპოლო“ ნახა და მიხვდა, რომ იბოვა ადამიანი, რომელიც მხოლოდ

ლანჩინივად, რომელიც რუსეთში დაბადა (მშობლები მას კადეტთა კორპუსისთვის ამზადებდნენ. გიორგი ქორეოგრაფიულ სასწავლებელში შემთხვევით მოხვდა და რამდენჯერმე გაიქცა კიდევ, რადგანაც სულაც არ აპირებდა ცეკვა პროფესიად გაეხდა), საბალეტო სპექტაკლებს ჯერ პეტერბურგის მარიინსკის თეატრის სცენაზე დაგმავდა, მერე კი – პარიზისა და ვენის სხვა ქალაქების. პირველი სპექტაკლი, რომელიც მან ცნობილი რუსი არტ კრიტიკოსისა და იმპრესარიოს სერგეი დიდილინისთვის 1925 წელს დადგა, იყო რიეტის „ბარაბო“. მოგვიანებით კი ოკეანის გადაღმად მიმწვევა მიიღო, გაემგზავრა და იქ სამუდამოდ დარჩა კიდევ. სამშობლოში (გგულისხმობ, საქართველოს) იგი მხოლოდ ხრუშჩოვის „დათობის“ დროს, 1962 წელს თავისი დასის სპექტაკლებით ჩავიდა, ხელმეორედ – ათი წლის შემდეგ. და ეს იყო საქართველოსთან მისი უკანასკნელი შეხვედრა. ამბობენ, რომ მის ძმას (რომელიც თითქმის 45 წელი არ იხანა), სოციალისტური შრომის გმირს ანდრია ბალანჩივაძეს ბალეტის „მთების გულის“ დადგმა ჯორჯის ქორეოგრაფიით უნდოდაო, მაგრამ ძმების ერთობლივი პროექტი ვერ შედგა.

# ბალანჩინის გული, ილუზიები და „მაკნატუნა“



ბალეტს კი არა, ამერიკასაც ძალიან სჭირდება. ჰოდა, მონდა კიდევ ამ ორი ადამიანის შეხვედრა და სულ რამდენიმე თვეში რეალობამაც დაადასტურა, რომ კირსტინი არ შემცდარა. ეს იყო შეხვედრა, რომელიც, გადუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ისტორიული როლი შეასრულა არა მარტო ამერიკული საბალეტო სცენისთვის, არამედ მსოფლიო ხელოვნების განვითარებისთვის. საქართველოში ჯორჯის მამას მელიტონს სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდებას რომ ანიჭებდნენ, მისი შვილი „ანტისაბჭოთა“ ამერიკული ხელოვნების იმ დროისთვის ჩანასახში მყოფი საბალეტო სცენისა და სკოლის შექმნაზე ზრუნავდა. ბალანჩინის ჯანმრთელობის არაერთი გაუარესების მიუხედავად, 1934 წელს ლინკოლნ კირსტინის დიდის ძალისხმევით მიინც გაიხსნა ამგვარი სკოლა და იმავ წლის ორ იანვარს მეცადინეობაც დაიწყო. ეს სკოლა დღემდე მსოფლიოში ნამყვან საბალეტო სკოლად ითვლება. 1946 წელს ბალანჩინი და კირსტინი „საბალეტო საზოგადოებას“ აარსებენ, ორი წლის შემდეგ კი მას „ნიუ იორკი სითი ბალეტი“ დაერქმევა.

ბალანჩინის ქორეოგრაფიულ სტილს სიცოცხლეშივე და სიკვდილის მერე ნეოკლასიკა ეწოდა. მის ხელნერას რომანტიკულ ანტიკლასიციზმსაც უწოდებდნენ, ანუ იმ სტილის მოპაექრეს, რომელიც რუსულ და ევროპულ სათეატრო სცენებზე XX საუკუნის დასაწყისში სუფევდა. მან თავის ინოვაციურ მოძრაობებში, მიზანსცენებში შესძლო ცეკვაზე თანამედროვე წარმოდგენების, ცარიისტიული რუსული ბალეტისა და ბებერი ევროპის საცეკვაო ტრადიციების ორგანო-ლიის, „ბალანჩინის ბრენდის“ დანერგვა. ბალანჩინის საბალეტო შედეგებმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეცვალა საცეკვაო აზროვნება და ამერიკული ბალეტი ყველაზე თანამედროვე, ღია და თავისუფალი მოძრაობის სივრცედ გადაქცევა, ადგილად, სადაც

სხეული არა მხოლოდ „დაზვიერებული“, კლასიკად წოდებულ საბალეტო მოძრაობებს ტექნიკურად კარგად ასრულებს, არამედ ექსპრესიულად მეტყველებს და მუსიკას ალაპარაკებს. თუმცა, ჯორჯ ბალანჩინს უფრო მოსწონდა, როცა მის სახელს საცეკვაო ტექნიკურ ოსტატობას უკავშირებდნენ; საკუთარ თავს მზარეულსა და დურგალს (ადრე იგი გატაცებული იყო კიდევ ამ საქმეებით) უფრო უწოდებდა, ვიდრე რაიმე ალტერნატიული მიმართულების, ახალი სახელოვნებო იდეოლოგიის შემქმნელ-ფუძემდებელს. ჯორჯ ბალანჩინი უნდა იყოს უნდა გავიგოთ, რომ ცეკვა ეს არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი ხელოვნება და არა რაიმესთან ასოცირებული მეორადი თანმდევი რამ. მე ვთვლი, რომ იგი ერთ-ერთი უდიდესი ხელოვნებაა, ისეთივე, როგორც დიდი კომპოზიტორების მუსიკა, რომლის აღქმა და გაგება ყოველგვარი სიტყვიერი ახსნის გარეშე შესაძლებელია. ბალეტში მთავარი თავად მოძრაობაა, ისევე როგორც სიმფონიაში ბგერა ასრულებს მთავარ როლს. ბალეტი შეიძლება შედგებოდეს რაიმე ამბისგან, მაგრამ ვიზუალურ სპექტაკლში ამბავი არაა მთავარი. ქორეოგრაფსა და მოცეკვავებს უნდა ახსოვდეთ, რომ აუდიტორიას ისინი თვალის მეშვეობით წვდებიან და თავის მხრივ აუდიტორიამაც თავისი თავი უნდა განვრთნას, რათა დაინახოს რა ხდება სცენაზე. ეს ილუზიაა, რომელიც აჯერებს აუდიტორიას, რომ ეს ჯალოქრის ნამუშევარია. თუ ილუზია არ შედგა, მაშინ ბალეტს არ შედგა იმისა და მიუხედავად, თუ როგორ წარმატებულ ილუზიაზე მიუთითებს მაყურებელს პროფესორის ჩანაწერი.

ბალანჩინი 1983 წლის 30 აპრილს 79 წლის ასაკში ნევროლოგიური დაავადებისგან გარდაიცვალა. მას შემდეგ არ დარჩენია და ანდერძით მთელი თავისი ქონება მის საბალეტო დასს ერგო. ბალანჩინის სიკვდილის დღეს ნიუ იორკის სითი ბალეტი დაიგეგმილ, ბალანჩინის ქორეოგრაფიის სპექ-

ტაკლებს (მათ შორის, Simphony in C-სა და Divertimento No. 15-ის მუსიკაზე შექმნილს) აჩვენებდა. მაშინ ლინკოლნ კირსტინმა თქვა: „ახლა მისტერ ბალანჩინი მოცარტთან, ჩაიკოვსკისთან და სტრავინსკისთან ერთად“. ცეკვის ავტორიტეტიანმა კრიტიკოსმა კლემენტ კრისპიმ კი განაცხადა: „ჩვენ ვერასოდეს შევძლებთ ვიყოთ ბალანჩინის გარეშე. ჩვენ განარებულნი და ბედნიერები უნდა ვიყოთ იმით, რაც მან მოგვცა“. ამერიკული ბალეტის ფუძემდებელი ნიუ იორკის შტატის პატარა სოფელ სეგ პარბორში დაასაფლავეს. იქ, სადაც 14 წლის შემდეგ მოცეკვავე ალექსანდრა დანილოვასაც მიაბარებენ მინას. ბალანჩინმა და დანილოვამ, ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, მთელი ცხოვრება ერთად განვლეს: 1924 წელს ერთად დატოვეს რუსეთი, მერე ამერიკაში გადასახლდნენ, იყვნენ მეგობრები, საყვარლები და სასცენო პარტნიორები. ჯორჯ ბალანჩინს არაერთი პრესტიჟული ამერიკული/საერთაშორისო პრიზი თუ საპატიო წოდება აქვს მინიჭებული. ერთხელ კი XX საუკუნის ლეგენდარულ ქორეოგრაფს სამედიცინო გაერთიანებამ „ამერიკის გულის ასოციაცია“ წოდება „ნიუ იორკის გული“ მიანიჭა. ბუნებრივია, არა მხოლოდ იმის გამო, რომ ბალანჩინს კარდიო-ვასკულარული პრობლემები აწუხებდა და იქაური ექიმების დაკვირვებას მუდმივად საჭიროებდა. ამერიკელებმა იცოდნენ, რისთვისაც.

2009 წილს გავლენიანმა გაზეთმა Washington Post გამოაქვეყნა ცეკვის კრიტიკოსის სარა კაუფმანის „ნოსტალგიური“ სტატია იმის შესახებ, რომ თითქოს დრო დადგა ამერიკული ბალეტი ბალანჩინის ყოვლისმომცველი გავლენისგან გათავისუფლდეს და საბალეტო სკოლებს ლამის 1930-იანები წლების ტრადიციების დაბრუნებისკენ მოუწოდა, თუმცაღა გამოკითხული არაერთი ცნობილი ამერიკელი და არა მარტო ამერიკელი ქორეოგრაფი, საბალეტო სკოლის დირექტორი და კრიტიკოსი ამ ადამიანის აზრს კატეგორიულად არ იზიარებდა. ერთ-ერთმა ქორეოგრაფმა კი ასე გამოხატა ბალანჩინისადმი თავისი დამოკიდებულება: „მისი წასვლის შემდეგ ჩვენ მემკვიდრეობით უნდა მივიღოთ მისი სული და არა მხოლოდ თავგანისცემა იმისადმი, რაც მან შექმნა“. ჰოდა, 2013-2014 წლის სეზონისთვის ნიუიორკელმა მეგობრებმა სწორედ ამ სულის „დასახადა“ მცირე „ბალანჩინა“ მოვიწყვეთ. David H. Koch თეატრში ნიუ იორკ სითი ბალეტის მიერ დადგმული „ბალანჩინის მოკლე მოთხრობები“, „მაკნატუნა“ და „შავი და თეთრი“ ვნახეთ. „ბალანჩინის მოკლე მოთხრობები“ ყოველწელს მაყურებლის წინაშე სხვადასხვა შემადგენლობის „ისტორიებით“ წარსდგება ხოლმე, რაც იმას ნიშნავს, რომ „მოთხრობები“ ბალანჩინის სხვადასხვა ქორეოგრაფიული წარმოდგენების კომბინაციაა და იცლებს ხოლმე. ამჯერად იგი სამი „მოთხრობისგან“ შედგებოდა: „სომნამბულა“ (ბელინისა და რიეტის მუსიკა), „უძღები შვილი“ (პროკოფიევის მუსიკა) და „სასაკლაო მეთაე ავნი-უზე“ ( როჯერის მუსიკა). „სომნამბულაში“, რომელიც ბალანჩინმა 1946 წელს მონტე-კარლოს საბალეტო სცენისთვის დადგა, ნამყვან პარტის ალექსანდრა დანილოვა ცეკვავდა. ნიუ იორკში კი სპექტაკლის პრემიერა მხოლოდ 1960 წელს შედგა. ბალანჩინის სიტყვებით: „გაიყვანეს სცენაზე ქალი და მამაკაცი და ეს იმთავითვე ამბის სახეს მიიღებსო“, მგონი, სწორედ საბალეტო სცენის პოსტულტია. „სომნამბულას“ პირქუში აურა XIX საუკუნის რომანტიკული სტილის ბალეტში „ჟი-ზელი“ და „სილფიდა“ დატრიალებული საბედისწერო სიყვარულის სიუჟეტს ჰგავს. მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კონტრაპუნქტის საფუძველზე შექმნილი „უძღები შვილის“ პრემიერა კი 1929 წელს პარიზში შედგა, სადაც რუსული ბალეტი გასტროლებით იმყოფებოდა. იგი დიდი ხნისა და ბალანჩინის თანამშრომლობის პროდუქტი იყო და თან, ამ ორი პარტნიორის წარმატებული ხუთწლიანი პარტნიორობის ბოლო პროექტიც. რაც შეეხება „სასაკლაოს მეთაე ავნი-უზე“, რომელიც ბალანჩინმა 1936 წელს შექმნა, მისი ლიბრეტო სტრამბოზო-პარის ერთ დღეზე მოგვიხსნობს, სადაც ჩხუბი და მკვლელობა ხშირად ხდება და რომელსაც მარგინალები მფარველობენ. ამ სპექტაკლში მთავარი სტრამბოზო-პარის როლს ბალანჩინის პირველი მუღულე ტამარა ჟუვა ცეკვავდა. კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ბალანჩინის ეს დადგმა ბროდვეის შოუების საუკეთესო ტრადიციებითაა შექმნილი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

10 თებერვალს ბრიუსელში ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ უკრაინის კრიზისის განხილვამ შეიძლება საქართველოს და მოლდოვას დამატებითი დივიდენდები მოუტანოს. ამ ქვეყნებში, უკრაინისგან განსხვავებით, გასულ წლებში ვილნიუსის სამიტზე „აღმოსავლური პარტნიორობა“ მოახდინეს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების პარაფირება.

ადრე 2014 წლისთვის ევროპასთან დაახლოებისთვის გამოიყო 27 მილიონი ევრო საქართველოსთვის (მოლდოვისთვის 35 მილიონი ევრო).

რამდენადმე უფრო უხვი შეიძლება გახდეს დონორული ჩარიცხვები, ამას ჰპირდება ქართველებს ევროპის კომისარი გაფარტოებისა და კეთილშობილობის პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფიულე, რომელიც საქართველოში ჩამოვა 3-4 მარტს.

ჯერჯერობით ბრიუსელი აპირებს, მხარი დაუჭიროს საქართველოს პროექტებით ქვეყნისთვის სტრატეგიულ დარგში, კერძოდ სოფლის

მოქალაქე საზოგადოების წარმომადგენელთა ვიზიტები ევროპაში.

ევროკავშირი საქართველოს ჰპირდება, ხელი მოაწეროს შეთანხმებას ასოციაციის შესახებ 2014 წლის აგვისტომდე. ევროპულ ღირებულებათა ინსტიტუტის თანათავმჯდომარე ხათუნა ლაგაზიძე მიიჩნევს, რომ არ არის საჭირო გავაგლოთ პირდაპირი პარალელები უკრაინაში შექმნილ სიტუაციასა და იმას შორის, თუ როგორ განვითარდება მოვლენები საქართველოში აგვისტოს მოახლოებასთან დაკავშირებით.

– შევხედოთ უკანასკნელ ტენდენციებს: რუსეთი მყარად დამკვიდრდა ჩვენი ქვეყნის საინფორმაციო ველზე, უკანასკნელ ხანებში ბევრი პოლიტიკური პარტია ღიად გამოთქვამს სურვილს – განმტკიცდეს ურთიერთობანი მოსკოვთან. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ძნელი იყო ამის წარმოდგენა. ასეთი აზრების გამოქვეყნება დამლუშველი იყო ქართველი პოლიტიკოსების კარიერისთვის. ეს არის ახალი ტრენდი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მთავრობის მხრიდან, – თქვა ლაგაზიძემ.

მისი სიტყვებით, გაკეთდა უფრო მეტი განცხადებები, თითქოს ლიბერალური ევროპული დამოკიდებულება სექს-უმცირესობისადმი „არ შეესაბამება ქართულ ტრადიციებს“.

– ეს ყოველივე რაღაც მომენტში შეიძლება გამოიყენონ საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის წინააღმდეგ, – მიაჩნია ექსპერტს.

ამ დროს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ საქართველო მყარად დგას ევროკავშირთან დაახლოების გზაზე.

– უნდა იყოს იმის გაგება, რომ საქართველოსა და მოლდოვაში უსაფრთხოება და სტაბილურობა, მათი ეკონომიკური აყვავება რეფორმების კომპლექსებით არის თავად ევროპის სტაბილურობისა და უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილი, – თქვა ჯაფარიძემ.

იმავე დღეს, 10 თებერვალს, საქართველოში მიიღო თავისი ევროპული მისწრაფებების მხარდაჭერა ოკეანის გაღმადან. თბილისში ნატოს სამხედრო კომიტეტის დელეგაციის ვიზიტის წინ, რომელიც დანიშნული იყო 10 თებერვლისთვის, გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების 42 კონგრესმენის მიმართვა სახელმწიფო მდივან ჯონ კერისადმი მოწოდებით – ხელი შეუწყოს ასპირანტი ქვეყნების, ესე იგი ჩერნობილის, საქართველოს, მაკედონიის, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის, ინტეგრაციას ევროატლანტიკურ ალიანსში. საქართველოსთან დაკავშირებით მიმართვაში ნათქვამია, რომ ქვეყანამ უნდა მიიღოს „ნევროპის მოქმედებათა გეგმა“ უკვე მიმდინარე წელს შემოდგომის სამიტზე დიდ ბრიტანეთში.

ადგილი ნატოში საქართველოს (უკრაინასთან ერთად) დაბრუნდნენ ალიანსის სამიტზე ჯერ კიდევ 2008 წელს. მაგრამ შესვლის კონკრეტული ვადები ჯერჯერობით არ სახელდება. ამჟამად კონგრესმენები გამოთქვამენ შიშს, რომ უკრაინის მოვლენებმა შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს მიმართვაში ჩამოთვლილ ქვეყნებზე.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მათა ფანჯიკიძემ 10 თებერვალს განაცხადა, კონგრესმენების მიმართვა ესაა საქართველოსთვის სერიოზული მხარდაჭერის გამოხატვა და თბილისს აქვს უფლება ელოდოს პროგრესს ნატოს სამიტზე წელსვე. ხელმოწერა კონგრესმენტთა ნაწილს ქართველი პოლიტიკოსები შეხვდნენ მიუნხენის უსაფრთხოების ამას-წინანდელ კონფერენციაზე.

დასავლეთი ყველაზე უხვად აფინანსებდა საქართველოს 2008 წლის საბრძოლო მოქმედებების შემდეგ. მაშინ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაზარალებული ეკონომიკის აღდგენისთვის გამოიყენეს 4,5 მილიარდი დოლარი, ევროპელმა დონორებმა –


დედაიძის ზურგზე



ევროკავშირმა არ გამოიყენა სანქციები უკრაინის წინააღმდეგ, მაგრამ უკრაინის დასახლებულ რაიონებში უკრაინელი ჩინოვნიკებთან დაკავშირებით, მაგრამ არც ეკონომიკურ დახმარებას ჩქარობენ კიევისთვის, რასაც შეეძლო, გადაეხარა იგი დასავლეთის მხარისკენ. საკითხი დახმარების შესახებ გადაეგზავნა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს.

ევროპის საგარეო საქმეთა მინისტრებმა უარი განაცხადეს წინააღმდეგაზე, შემოიღონ სანქციები უკრაინელი ჩინოვნიკებთან დაკავშირებით, მაგრამ არც ეკონომიკურ დახმარებას ჩქარობენ კიევისთვის, რასაც შეეძლო, გადაეხარა იგი დასავლეთის მხარისკენ. საკითხი დახმარების შესახებ გადაეგზავნა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს.

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფილ გამომგზავნს რუსეთისთვის შიშის გამოხატვის 30 წლით სინა მიუსაჯეს



გამოძიების მონაცემებით, 2012 წლის ოქტომბერში გადამდგარი სამხედრო შეეცადა, გადაეცა ის დოკუმენტები, რომლებიც შეიცავდნენ საიდუმლო ცნობებს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების შესახებ, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც რუსეთის დაზვერვის წარმომადგენლებად მიაჩნდა. სინამდვილეში ისინი იყვნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები, რომლებიც ფარულად მუშაობდნენ.

„ჯაბხაზ ან-ნესკამ“ მოითხოვა აპალიუსი მოწვევების სანაშრომ 500 ბოვიჩი გაათავისუფლონ

„ალ-ჯაბრამ“ გადასცა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ნაჩვენებია მაალიულელი მონაზვნების ჯგუფი. მეორე ისლამური რადიკალური დაჯგუფება დაუკავშირდა გაეროს სპეციალური წარმომადგენლის თანაშემწეს სირიის საკითხებში და სთხოვა გამოეადგინა შუამავლად გარიგების გაფორმებაში ალექსანდრე ერთ-ერთი დაპატიმრებული მიტროპოლიტის გაათავისუფლების შესახებ.

უკრაინის ხელისუფლება კრიზისიდან გამოსავალს გიომოქოსთან საილუმო მოლაპარაკებაში განიხილავს

წყარომ ერთ-ერთი ოპოზიციური ფრაქციის ხელმძღვანელობაში გვაცნობა, რომ ხარკოვში თითქოს გაიმართა ექსპრემიერ იულია ტიმოშენკოს საიდუმლო შეხვედრა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ანდრეი კლიუევთან, რომელზეც განიხილავდნენ კრიზისიდან გამოსვლის გზებს, და, კერძოდ, კოალიციის შექმნის შესახებ.



უკრაინის კრიზისმა საქართველოს შეიძლება დააბრუნოს ფინანსები მოუტანოს თბილისს „ევროპულ ღირებულებათა პროპაგანდისთვის“ სახსრები სჭირდება



მეურნეობაში, აგრეთვე ვარაუდობენ, რომ სპეციალურად იქნება დაფინანსებული „ევროპული მიმზიდველობის“ პროპაგანდა.

– ევროკავშირის დახმარების გადიდების შემთხვევაში დაფინანსების პრიორიტეტები იქნება სოფლის მეურნეობა, ადმინისტრაციული რეფორმა და იუსტიციის სფერო, – განაცხადა საქართველოს ევროპისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ მარიამ რაქვიაშვილმა. – კონკრეტული ციფრები განხილული იქნება ფიულეს ვიზიტის დროს. რაც შეეხება ძალისხმევას პროპაგანდისტული მიმართულებით ევროპის მხრიდან, ამას განსაზღვრავენ თავად ევროკავშირში.

– ევროკავშირისგან დაფინანსება სოფლის მეურნეობისთვის მოხმარდება კოორპორატივებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს, – დააზუსტა პარლამენტის აგრარული პოლიტიკის კომიტეტის ხელმძღვანელმა გიგლა აგულაშვილმა. ევროპული ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლევან ბერძენიშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ხარჯები განმარტებაზე იმის შესახებ, თუ რა არის ევროპული ღირებულებანი, მაღალი არ იქნება.

– ჩვენ ისტორიულად თავს ევროპელებად ვგრძნობთ, მაგრამ ეს რომ აზრობრივად წარმოვიჩინოთ – ასეთი პრაქტიკა ჯერ არ ყოფილა, – გვიამბო დეპუტატმა. – უკანასკნელ ხანებში საქართველოში ასე ფიქრობენ: შეგვშვენის კი ევროპული ღირებულებანი, განა ჩვენია ეს გზა. ასეთი შეფასებების უკან შეიძლება რუსეთის ინტერესები იდგეს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ევროკავშირი გამოყოფს სახსრებს თავისი პოლიტიკის არსის განმარტებისთვის.

დეპუტატის სიტყვებით, ევროკავშირის სახსრებზე გაიმართება სპეციალური სალექციო კურსები, გადაიღებენ ტელეგადაცემებს. ასევე გახშირდება ქართველ პარლამენტართა და სა-



„მეტეხის საძმოს“ წევრებმა სხვადასხვა დანაშაულებრივ ჯგუფთან გაფლენის სფეროების განაწილებისა და ურთიერთანგარიშსწორების ნიადაგზე მარტო თბილისში რამდენიმე კაცი მოკლეს: 1993 წლის 7 მარტს – ჩაჩხიანი, 1994 წლის 19 ივლისს – ტრიპოლსკი და ხეთი-სიაშვილი, 1994 წლის 8 სექტემბერს – ახობაძე და კობახიძე... არის ვარაუდი, რომ მათ მიერ უნდა იყოს ჩადენილი სხვა გაუხსნელი მრავალი მკვლელობა, ადამიანის გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით, ყაჩაღობა...

დავით სანიკიძემ სავარაუდოდ ყველაფერი იცოდა „მხედრონის“ ლიდერების მიერ სახელმწიფო მოღვაწეთა წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტების შესახებ. სახელმწიფოს მეთაურზე 1995 წლის 29 აგვისტოს განხორციელებულ თავდასხმაზე 5 წუთით ადრე იგი ტელეფონით ესაუბრა ტერორისტული აქტის უშუალო შემსრულებელს გიგა გელაშვილს.

1994 წლის 7 აგვისტოს ტერენტი გრანელის (ყოფილი 9 იანვრის) ქუჩაზე მდებარე სკვერში, ახალგაზრდების ორ ჯგუფს შორის სასტიკი ჩხუბი მოხდა. ერთი მხრიდან დაიღუპა დავით სანიკიძის ძმისწული ლაშა სანიკიძე, მეორე მხრიდან – ქურდული ტრადიციების მატარებელი ხვიჩა ხოჯავა.

ამის გამო დავით სანიკიძე თბილისში ჩამოვიდა უცნობ პირთა თანხლებით. სასტუმრო „მეტეხში“ მათ გიგა გელაშვილთან ერთად „გარჩევის“ ჩადენილი მკვლელობა. „გარჩევის“ შემდეგ დავით სანიკიძის დავალებით სასტუმრო „მეტეხში“ დაატყვევეს მოკლული ხ. ხოჯავას მეგობრები კახა კოტრიკაძე, თენგიზ გრძელიძე, თემურ ბაზაიევი და ელიზბარ სინჯიანი. განაჩენი მოკლე და უღმობელი იყო: ისინი დახოცეს.

ცნობილია: დანაშაულებრივად მოპოვებული ქონების გაყოფა მშვიდობიანად იშვიათად მთავრდება. ძველ მეგობრებს დავით სანიკიძესა და რიჩარდ ჯავახიძეს შორისაც წამოიჭრა დავა.

„...მეტეხის“ გენერალური მენეჯერის კარბინეტი ბრაზით სახეაღანძული მამაკაცები მუქარით ბურღავენ ერთმანეთს თვალებით.

– იცოდ, თავს წააგებ, რიჩო! – კბილებში სცრის დავითი.

– ის შეაშინე, ვინც შეგიშინებია!

ხელი თავისით შეცურდა პიჯაკში და პისტოლეტის ტარი ჩაბლუჯა.

მეორეს არ გამოპარვია ეს მოძრაობა და ვიბეში მანაც მოსინჯა ლითონის სიცივი.

ახლა ყოველი გაუფრთხილებელი მოძრაობა სიკვდილის ტოლფასია.

– კარგი, მოვრჩეთ, ოღონდ დაიმასხოვრე დღევანდელი დღე.

– ეგრე იყო.

სახეზე ორივეს დაუნდობლობა ანერია. ორივემ იცის, რომ ეს მათი ბოლო შეხვედრაა. შემდეგი შეხვედრისას მხოლოდ ტყვიებით ილაპარაკებენ.

ასეც მოხდა ცოტა მოგვიანებით...

ამრიგად, დავა დიდ განხეთქილებაში გადაიზარდა, ე. წ. „მეტეხის საძმოს“ დანაშაულებრივი ჯგუფიც სანიკიძისა და ჯავახიძის მომხრეებად გაიყო.

გამოხდა ხანი და ადრე ჩადენილ დანაშაულებში მოსალოდნელი მხილები-საგან თავის არიდების, პირადი კვალის დაფარვისა და პირადი ანგარიშსწორების მოტივით 1998 წლის მაისში მოსკოვში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს რ. ჯავახიძე და მისი ჯგუფის წევრები მ. ოკუჯავა და ი. დოლიძე.

სავარაუდოა, რომ 11 ივლისს ვენაში დავით სანიკიძის მკვლელობა რიჩარდ ჯავახიძის დაჯგუფების შურისძიების შედეგი იყო.

ისე რომ, „სანიკიძის მკვლელობაში აშკარად გამოკვეთილი პოლიტიკური მიზეზები“ აშკარად გამოკვეთილი მაფიოზური მიზეზებია, მაფიას, სიცილიური იქნება იგი, ამერიკული თუ ქართული, თავისი ომერტის კანონი აქვს და ეს კანონი მხოლოდ დამსმენთა და დანაშაულის გამმუდგანებელთა მიმართ როდი სრულდება.

ავსტრიული გაზეთი „კურიერი“ იტყობინებოდა, რომ ბუდაპეშტში დააკავეს დავით სანიკიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორი ქართველი ახალგაზრდა: 21 წლის ალექსანდრე კ. და 22 წლის რაულ თ. ისინი უარს აცხადებენ მკვლელობის შემკვეთის დასახელებაზე (ომერტა!). შემკვეთი საქართველოშია საძებნო, წერდა ჟურნალისტი.

რა თქმა უნდა, საქართველოში იყო სამყაროში, რომელიც დღემდე საკმაოდ ვართოდ არის განვითარებული ქვეყნიერების ოთხივე კუთხეში.

ამასთან, ანგარიშგასანევია „იაპონიკთან“ დაკავშირებული მოსაზრებაც. დაკავებული ბუდაპეშტიდან პეტერ ბურგს გასაფრენად ემზადებოდნენ: ჯიბეზე 100 ათასი დოლარი აღმოაჩნდათ. გამოძიებლები მიიჩნევდნენ, რომ ეს შონორარის მხოლოდ ნაწილი იყო.

მკვლელობის შემდეგ ქილერებს 3 დღე ვენაში თავი შეუფარებიათ იქ მცხოვრები ქართველი დედაშვილის ირინა და შუქრი ბ-ების სახლში, რომლებმაც „ბევრად მეტი უნდა იცოდნენ მკვლელობის შესახებ, ვიდრე ამბობენ“. ასევე ბევრი არ უნდა სცოდნოდა „მკვლელობის მიზეზებსა და პოლიტიკურ მოტივებზე“ დ. სანიკიძის მეგობარ ქართველ ქალს, ვინმე მანანას, რომელიც პოლიციას დაუხსლტდა.

ვარაუდების გამოტყობის უფლება ყველას აქვს, მით უფრო, ასეთი გახმაურებული მკვლელობის გამო. მაგრამ დანაშაულებითა სამყაროსთვის ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ანგარიშსწორების ამ ფაქტის „პოლიტიკური მოტივებით“ ახსნა, ერთობ უხეირო ვარაუდია. ეს ვარაუდი მხოლოდ დანაშაულებითა თავის არის ხელსაყრელი.

ერთიც, „მხედრონის“ და ჯაბა იოსელიანთან ახლო ურთიერთობის გამო, დაიბადა ვერსია დ. სანიკიძის 1995 წლის 29 აგვისტოს ტერორისტულ აქტში მონაწილეობის შესახებ, ზემოთ უკვე ვთქვით. ისიც ვთქვით, თუ რატომ „არ ჩქარობდა ქართული მხარე მისთვის ამ ჩრადდება, ანუ რატომ ვერ მოხერხდა ჩადენილ დანაშაულებში დავით სანიკიძის დროულად მხილება და საკმაოდ მტკიცებულებების შეგროვება.

მაგრამ მთავარი ეს როდია. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები ვარაუდობდნენ 29 აგვისტოს ტერორისტულ აქტში მის მონაწილეობის შესახებ, ზემოთ უკვე ვთქვით. ისიც ვთქვით, თუ რატომ „არ ჩქარობდა ქართული მხარე მისთვის ამ ჩრადდება, ანუ რატომ ვერ მოხერხდა ჩადენილ დანაშაულებში დავით სანიკიძის დროულად მხილება და საკმაოდ მტკიცებულებების შეგროვება.



# „მხედრონი“ – ბოროტების მხედრობა

ვად განხორციელებინათ ღონისძიებები იმ პირთა დასადგენად და დასაკავებლად, რომლებიც მძიმე დანაშაულობათა ჩადენისათვის იძებნებოდნენ საქართველოს შესაბამისი სამსახურების მიერ.

უცხოელ კოლეგებს შეახსენებდნენ, რომ ამ პირებს მათ ქვეყნებშიც შეეძლოთ დანაშაულის ჩადენა. მაგრამ, წინადადებას ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე, აქტიური გამომხატვრება და დაინტერესება არ მოჰყოლია.

დამნაშავეობის წინააღმდეგ შეუწყობილი ბრძოლა, მისგან საიმედო დაცვის სისტემის შექმნა, ქვეყნებს შორის არა მხოლოდ ინფორმაციის გამომდებულ გაცვლას, არამედ მაკოორდინირებელი ცენტრის შექმნასაც კი მოითხოვს. დამნაშავეობის სამყარო კარგად იცის როგორ იქცეს ორგანიზებულ ძალად. ცალკეული ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოები უძლური არიან ამ უბედურების წინააღმდეგ, ორგანიზებული დანაშაულისთვის სახელმწიფო საზღვრები არააფერხი ნიშნავს. სახელმწიფოები ან მოახერხებენ იმავეს გაკეთებას, რასაც დღეს მაფია აკეთებს, ანუ გაერთიანებას მაფიის წინააღმდეგ, ან დამარცხდებიან მაფიასთან ბრძოლაში.

ომერტა!  
დავით სანიკიძე მორიგი მსხვერპლი იყო.

შემდეგი?

1998 წლის შემოდგომაზე თბილისში გახმაურებული სასამართლო პროცესი შედგა. განსაჯელთა სკამზე ისხდნენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის მოადგილე თეიმურაზ ხაჩიშვილი, 1992-1995 წლების მონვევის პარლამენტის წევრი და 1995-2000 წლების მონვევის პარლამენტის წევრობის კანდიდატი ჯაბა იოსელიანი, საქართველოს მაშველთა კორპუსის ყოფილი თავმჯდომარე გიორგი (გიგა) გელაშვილი, გელაშვილი, ნიკოლოზ კვეზერელი, გურამ პაპუაშვილი, ავთანდილ გოგოტიშვილი, გონა გელაშვილი, გონა თედიაშვილი, ნიკოლოზ გედევანიშვილი, ზურაბ ქარსელაძე, პავლე ბუხრიკიძე. სულ 12 კაცი – უშიშროების სამსახურის თანამშრომლები და „მხედრონის“ ლიდერები. 10 ნოემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ (თავმჯდომარე – ჯემალ ლეონიძე, მსაჯულები – ომარ იასეშვილი, ნუგზარ პაპავაძე, პროკურორები – მირზა დოლიძე და გიორგი საბაშვილი), ისინი დამნაშავედ ცნო და სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა.

მასხოვეს ორი თვის მანძილზე ცხნაველობი 1995 წლის 29 აგვისტოს ტერორისტული აქტის მასალებს, შესაძლებლობის ფარგლებში საკმაოდ სრულად

დაკვალიანდი მომხდარის არსში და მართალი გითხრათ, ვნანობ, რომ ხელი მოვიკიდე ამ უმადურ საქმეს. იმდენი სიმდაბლის, დაცემის, სისასტიკის, გადაგვარებისა და ლალატის ამბავი შევიტყველამის ადამიანის რწმენა შემერყა.

ამ სისხლის სამართლის საქმის გამო-საძიებლად დიდი პროფესიული შრომა გასწიეს გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლებმა გულბათ ბესიაშვილმა, გიგლა აგულაშვილმა, კობა ნარჩემაშვილმა, თენგიზ კვარაცხელიამ... მაშინ დაბეჭდილი რამდენიმე პუბლიკაცია სწორედ მათთან და ბატონ რევაზ ყიფიანთან თანამშრომლობით მომზადდა.

ეს საინტერესო თანამშრომლობა გახლდათ. ვუსმენდი ახალგაზრდა იურისტებს, რომლებიც საგულდაგულოდ ცდილობდნენ იმაზე მეტი არ ეთქვათ, ვიდრე ეს იურისპრუდენციის დაწერილი თუ დაუწერელი კანონებით არის მიღებული და ამავე დროს ჩემთვის ნათლად და დასაბუთებულად აეხსნათ მთავარი: არა ის, ვთქვათ, როგორ მოხდა, ან როგორ გაიხსნა ეს დანაშაული, არამედ – რატომ მოხდა იგი და რატომ გაიხსნა, ან, უფრო სწორად, რატომ არ შეიძლებოდა არ გახსნილიყო.

მთელი იმ ხანგრძლივი, მრავალდღიანი საუბრების შედეგად რამდენიმე დასკვნამდე მივდივარ.

მათგან საგანგებოდ ორს გამოვყოფდი.

პირველი ის გახლდათ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებს ამოფარებულმა ტერორისტებმა, მკვლელებმა, რეკეტიორებმა და გამომძალველებმა უდიდესი ზნეობრივი, მორალური ზიანი მიაყენეს საზოგადოებას, ერს, არა მხოლოდ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულებით, არამედ კანონისა და ზნეობის მიმართ იმ ცინიკური, აბუჩად ამგდები დამოკიდებულებით, რაც დამახასიათებელი იყო შეთქმულთა ხელმძღვანელებისა და რიგითი წევრებისთვის.

უდიდესი ზნეობრივი, მორალური ზიანი მიაყენეს საზოგადოებას, ერს ახალგაზრდობის გარყვნილ, გადაგვარებულ: ახალგაზრდათა შორის ინერგებოდა იარაღისა და ძალადობის კულტი, დაუსჯელობისა და დანაშაულებისკენ ნაქეზების ატმოსფერო, ნარკომანია. თავიანთი ცხოვრებით პროპაგანდას უწევდნენ დამნაშავეთა სამყაროს ცხოვრების წესს. ყოველივე ამან დამოუკველად იმოქმედა არა მხოლოდ შეთქმულთა ორგანიზაციის წევრების ბედზე, არამედ მათ გარემოცვაში მყოფ და, საერთოდ, ქვეყნის ახალგაზრდობის მნიშვნელოვან ნაწილზე.

მეორე მთავარი დასკვნა: შეთქმულთა ორგანიზაციის წევრებმა ჩაიდინეს უმძიმესი დანაშაული, რისთვისაც კანონის შესაბამისად აეგს პასუხი, მაგრამ ეს დანაშაული (დანაშაულთა მთელი სერია) არ უნდა განვიხილოთ, როგორც ჩვეულებრივი, რიგითი. იგი განსახილველია კომპლექსურად: იმ გარემოებათა მთელი ჯაჭვით, იმ ნიაღვრით, რომელშიც იშვა, რამაც აღმოაცენა და მოამზადა იგი. ლაპარაკია საზოგადოებაზე, რომელმაც შესაძლებელი გახდა მსგავსი რამის ჩადენა.

ლიტერატურული რემინისცენციით, ძალაუნებურად გოგოლის ტარას ბულბას სიტყვები გეხმინანება: „მე დაგბადე, მევე უნდა მოგკლა“.

იმ პერიოდის ისტორიულმა გარემომ, საზოგადოების ყოფის მაშინდელმა სტატუს-კვომ შვა ის ბოროტება და ისტორიული გარემოს შეცვლას, საზოგადოების გაჯანსაღებასევე უნდა ეწამლა, რათა თვით შესაძლებლობაც კი მოსპობილიყო მისი გამეორებისა.

ე. ი. მაშინდელმა საზოგადოებამ იცხოვრა ისე არასწორად, რომ ის, რაც მოხდა, უნდა მომხდარიყო. არ იქნებოდნენ ჯაბა, გიგა, იგორ გიორგაძე, ხაჩიშვილი, იქნებოდნენ სხვები.

რალაც ერთობ მარქსისტულად გამოდის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დიალექტიკური კანონის შესაბამისად, ყოფიერების მიერ ცნობიერების განსაზღვრის კვალდაკვალ.

მაგრამ ასე კია და...

აღეპო ასლანიშვილი.  
(გაბრძობა იმდობა)

© ვითარება შეიძლება იყოს?

ოლიმპიადის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა შეცდომა გაასწორა

Marika PERTAKHIYA	
Russian Fed.	
Gender: Female	Nationality: Russian Fed.
Birthday: 15 December 1992	Age: 21
Height: 1.70 m (5'7")	Weight: 56 kg / 123 lbs
Place of Birth: Georgia, I-GALI, GALSKY DISTRICT REPUBLIC OF ABKHAZIA	Place of Residence: -
Freestyle Skiing	



ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე სოჭი 2014-ის ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე რუსეთის ნაკრების წევრის, მოთხილამურე მარიკა პერტახიას მონაცემებში გალი რუსეთის ტერიტორიად იყო მოხსენიებული. საქართველოს სპორტისა და

ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთობლივი ძალისხმევით აღნიშნული შეცდომა გასწორდა.

„ჩვენ ოფიციალურად მივმარ-

თეთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებს, ასევე სოჭი 2014-ის საორგანიზაციო კომიტეტის მსუვეურებს და აღნიშნული შეცდომის გასწორება ვთხოვეთ. როგორც ხედავთ, შეცდომა გამოსწორდა“, - განაცხადა სოჭში მყოფმა სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რეაგირების შემდეგ 1992 წლის 15 დეკემბერს დაბადებული სპორტსმენის, 21 წლის მარიკა პერტახიას ოფიციალურ მონაცემებში - <http://www.sochi2014.com/en/athlete-marika-pertakhiya>

- დაბადების ადგილის გასწვრივ წერია: საქართველო, გალის რაიონი, აფხაზეთის რესპუბლიკა.

ნატა ნიკოლაძე

© საზონის წინ

„დინამო“ შეკრების ბოლოს თურქმენებს აჯობა

თბილისის „დინამო“ თურქულ შეკრებაზე ბოლო შეხვედრა თურქმენეთის 2012 წლის ჩემპიონთან და თასის მფლობელ „ნებიჩისთან“ ჩაატარა და 3:1 გაიმარჯვა.

საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ პრეს-სამსახურის ინფორმაციით, მთავარმა მწვრთნელმა მალხაზ ჟვანიამ განვლილ მატჩში გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: დაუშვილი, პაპავა, ხიდუშელი (რეზერვები, 60), გველესიანი, კვიციანი, პაპუნაშვილი, ძარია, გიორგი ჯანელიძე (ცინცაძე, 70), ჩისკო, ვუო (გორგიაშვილი, 78), მერევაშვილი (გოგა, 46).

ტრავმების გამო თბილისელებს მეკარე გიორგი ლორია და თავდამსხმელი ირაკლი მოდებაძე ვერ დაესმარნენ.

მე-6 წუთზე ანგარიში ესპანელმა ლეგიონერმა ჩისკომ გახსნა. 30-ე წუთზე გიორგი მერევაშვილის მიერ დარტყმული პენალტის შემდეგ თურქმენების მეკარემ ბურთი მოიგერია და დამატებაზე უკვე მერევაშვილს მიზანმა აღარ უმტყუნა. 59-ე წუთზე „ნებიჩიმ“ საპასუხო გო-



ლი გაიტანა, ხოლო 88-ეზე ჩისკომ საბოლოო წერტილი დასვა.

ანთალიიდან „დინამო“ თბილისში გუშინ დაბრუნდა და ჩემპიონატის განახლებისთვის მზადებას ადგილზე გააგრძელებს.

გიორგი შოთაძე

© დაბრუნება

ოთარ მარცხვალაძე გორის „დილაში“

ოთარ მარცხვალაძე საქართველოს ჩემპიონატს უბრუნდება: როგორც განცხადდა, 29 წლის ფორვარდი გორის „დილასთან“ ერთად ვარჯიშობს.

უკვე იცით, რომ ვლადიკავკაზის „ალანია“ არსებობა შეწყვიტა, შესაბამისად, მარცხვალაძე და გორა ხოჯავა უკლებლივ დაბრუნდნენ.



გადაწყვეტილია, რომ ოთარი „დილაში“ გააგრძელებს კარიერას. მარცხვალაძეს 2006 წლის შემდეგ აღარ უთამაშია საქართველოს ჩემპიონატში.

როგორც იცით, „ვიტ ჯორჯიაში“ შედეგიანი თამაშის შემდეგ იგი კიევის „დინამოში“ გადავიდა, სადაც კარიერა ვერ აენყო, ტრავმებიც დაერთო და შემდეგ რამდენიმე კლუბი გამოიცვალა: „ზაკარპატივ“, „ანჟი“, „ვოლგა“, „კრასნოდარი“, „სკა-ენერჯია“ და ბოლოს „ალანია“.

კობა კობახიძე

© ჭიდაობა

„ოქროს გრან პრის“ 6 ქართული ოქრო

ბასულ უქმეებზე პარიზში ძიუდოს გრანდ სლემის პარალელურად, ჭიდაობის „ოქროს გრან პრისაც“ უმასპინძლა და საქართველოს თავისუფალი და ბერძნული ომალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებები კიდევ უფრო სხვაგვრილად გამოვიდნენ, ვიდრე ძიუდოსტიები.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი შედეგი ბერძნულ რომაელებმა აჩვენეს. ბეგი დარჩიას გუნდმა 4 ოქროსა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. რევაზ ლაშვილი (66 კგ), ზურაბ დათუნაშვილი (75 კგ), გიორგი ცირეკიძე (80 კგ) და იაკობ ქაჯაია (130 კგ) ჩემპიონები გახდნენ, მესამე საპრიზო ადგილები კი ლაშა გოგიტაძემ (59 კგ), მანუჩარ ცხადაიამ (75 კგ) და ვასილ იმერლიშვილმა (98 კგ) დაიკავეს. ნაკრების განაცხადში მყოფ მოჭიდავეთაგან საპრიზო სამეულს მიღმა მხოლოდ გოდერძი დავითაძე (59 კგ), რობერტ ქობლიაშვილი (85 კგ) და ვლადიმერ გეგეშიძე (98 კგ) დარჩნენ.

რევაზ მინდორაშვილის განვრთნილი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები საფრანგეთში 6-კაციანი შემადგენლობით ჩავიდა. „ოქროს გრან პრი“ ნაუგებლად ზვიად მეტრე-



ველმა (97 კგ) და გიორგი მეშვილდიშვილმა (125 კგ) ჩამთავრეს, ხოლო იოსებ ხუციშვილმა (74 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. აკაკი მონონელიძეს (61 კგ) კვარცხლბეკამდე ერთი გამარჯვება დააკლდა და მე-5 ადგილს დასჯერდა, ალექსანდრე ჯაჭვაძემ (74 კგ) და გორა ლომთათიძემ (86 კგ) კი სანყის ეტაპზევე წააგეს.

მანუჩარ ბიორაძე



© ჩოგბურთი

ჰინუსის წარმატებული სტარტი დოჰაში

მრთეულთა და წვეილთა შორის სადიდსლემო ტურნირებისა და ოლიმპიური თამაშების 24-გზის ტრიუმფატორმა ჰინუს უილიამსმა ყატარის დედაქალაქ დოჰაში Qatar Total Open-ის პირველ წრეში მსოფლიო რეიტინგის 104-ე ნომერს, 23 წლის ხორვატ პეტრა მარიჩს 6:2, 6:2 მოუგო. მომდევნო სტადიაზე უილიამს-უფროსი კლასიფიკაციის მეექვსე ნომერ ჩენ პეტრა კვიტოვას შეხვდება.

მარიჩთან მატჩს რაც შეეხება, ბალკანელის დასამრცხებლად ჰინუსს საათი და 4 წუთი ეყო. 33 წლის უილიამსმა 5 ბრეიკი და 2 ეისი შეასრულა. გუშინდელი მეტოქეები ერთმანეთს პირველად შეხვდნენ.

მომავალ კვირას ვინუს უილიამსი დუბაის ტურნირში ჩაებმება. ამ შეჯიბრების ორგანიზატორებმა ჰინუსს „ველური ბარათი“ გამოუყვეს.

წესითა და რიგით, დოჰაში ბელარუს ვიქტორია აზარენკასაც უნდა ეასპარეზა, მაგრამ მან სერენა უილიამსის მსგავსად ყატარში ასპარეზობა ტრავმის გამო იუარა. აზარენკას დოჰაში გერმანელი ანიკა ბეკი შეეცვლის.

გაშან დოლიძე

© ინტერნეტიდან

ეკლსტონის მორიბ უარში გაეხმა

ფორმულა 1-ის ლეგენდარული შეფი ბერნი ეკლსტონი შესაძლებელია ქრთამის აღების ბრალდებით დააპატიმრონ და რამდენიმე წელი „ვირის აბანოშიც“ კი ჩააყუდონ. გამოძიება ეკლსტონს 45 მილიონ დოლარს ედაგება და არსებობს ეჭვი, რომ შემოთდასახელებული თანხა 83 წლის მილიარდერმა ერთ-ერთი ბანკირისაგან ქრთამად აიღო.

ჯერჯერობით არაა გასაჯაროებული, თუ რას დაპირდა ეკლსტონი ქრთამის მიმცემს თანხის სანაც-



ვლოდ. თუმცა, ბერნისნაირი გაქანების მქონე ფუნქციონერს საეჭვოა ამხელა თანხა რაიმე უწყინარი მიზნით ჩაეჯიბა.

როგორც იცით, ბერნი ეკლსტონმა ცოტა ხნის წინ მესუთედ იქორწინა და ასაკით თავისი ქალიშვილებისხელა ცოლი მოიყვანა. თუმცა, როგორც ჩანს, ეკლსტონის მავიოზურ ფიქრებს ვერც ახალგაზრდა ცოლის სიყვარულმა უშველა.

როსტომ რაჭველიშვილი

© „ ვარ სისხლით ქართველი“ ...

# ბალანჩინის გული, ილუზიები და „მაკნატუნა“

(მეზობელი გვიჩვენებს)

თუ ვინმე იკითხავს საშობაო-საახალწლო დღეებზე იდეალურად რომელი საბალეტო სპექტაკლი თუ შოუა მორგებულია, პასუხი, რასაკვირველია, იქნება ასეთი: პეტრე ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“. არ ვიცი, სადღესასწაულო დღეების, თუ იმის ბრალი იყო, რომ სცენაზე ბავშვების სიმრავლემ და გაცოცხლებულმა ზღაპარმა ჩემი საკუთარი ბავშვობა და სახლი გამახსენა, მაგრამ ის ილუზია, რომელზეც ზემოთ ჯორჯ ბალანჩინი საუბრობდა, ჯადოქრის მეშვეობით ჩემს თვალწინ მართლაც გათამაშდა. 90 მოცეკვავე, 62 მუსიკოსი, 125 ბავშვი, 32 სასცენო მუშაკი და საბალეტო სკოლის 50 სტუდენტი. ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც იმ დღეს დაუფიქრებელი „მაკნატუნა“ შექმნეს. ბალანჩინის ქორეოგრაფიას რომ თავი დავანებოთ, ყურადღებას სხვა „დეტალებიც“ იპყრობს: ძალიან მაღალი ნაძვის ხე, რომლის წონაც ყველასათვის ცნობილია. იგი ნამდვილია და ერთი ტონა სიმძიმისაა. კრისტალური, თეთრი, უწონო ფიფქები, რომელიც თოვლის ისეთ რეალურ შეგრძნებას გიჩვენებს, რომ გინდა ადგილს პარტნიორიდან და ტანსაცმელი, ჩექმები დაიფურთხო; „დედა ჯინჯერის“ კოსტიუმი, რომელიც თურმე 40 კილოგრამზე მეტს იწონის და მასში რამდენიმე ადამიანი დამალული; ერთ მილიონ ვატზე მეტი სიმძლავრის განათება; ნიუ იორკ სითი ბალეტის ლეგენდარული თანამშრომლის ბარბარა კარინსკას (1886-1983) 150-ზე მეტი გასაოცარი კოსტიუმი და ისევ... ბალანჩინის ქორეოგრაფია. ცნობილია ისიც, რომ „მაკნატუნას“ სითი ბალეტისთვის მთელი წლის მოგების ლამის 30-40 პროცენტი მოაქვს. მარიუს პეტრუსის „მაკნატუნა“ პირველად 1892 წელს მარიინსკის თეატრში დაიდგა. წელს კი ორ თებერვალს ნიუ იორკ სითი ბალეტის ბალანჩინის „მაკნატუნას“ 60 წელი შეუსრულდა. ჯერ არ ყოფილა სეზონი, რომ ამ საბალეტო კომპანიის დასს „მაკნატუნა“ არ წარედგინა და ამ პერფორმანსს სრული ანშლაგი და კრიტიკოსების აღფრთოვანება არ დაემსახურებინა. არადა „მაკნატუნა“ საბალეტო ხელოვნებაში ერთ-ერთ ყველაზე რთულად დასადგმელ სპექტაკლად ითვლება.



ბალანჩინი და სტრავინსკი

ბალანჩინის სპექტაკლს სახელწოდებით „შავი და თეთრი“ კრიტიკოსები აბსტრაქტული ბალეტის სტილს აკუთვნებენ და იმასაც ამბობენ, რომ ამ სპექტაკლის ქორეოგრაფიაში მესტრომ კულინარული მეტაფორები შემოიტანა, რადგანა ცეკვორები თავად იყო კარგი მზარეული. ცეკვების მინიფესტივალი „შავი და თეთრი“, მგონი, ბალანჩინის ერთადერთი ქორეოგრაფიაა, რომელიც ყველაზე მეტ კრიტიკას, შეკითხვებს და უკმაყოფილებას იწვევს. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ „შავი და თეთრის“ წინააღმდეგობებით სავსე ქორეოგრაფია პატარა სასწაულებითაცაა სავსე, სადაც ცოცხლად მთელი წარმოდგენა შავი და თეთრი მელანქოლიიდან ვიდრე ამავე ფერების ქოლერიკობამდე, ყველა ტემპერამენტისა და მათი ნახევარტონების ბალანჩინისეული ხელწერილი იქმნება.

დიდი მესტრო ყველაზე ელეგანტურ ხელოვნებად მუსიკასა და ქორეოგრაფიას მიიჩნევდა (შესაძლებელია, მისი ფუნდამენტური სამუსიკო განათლების გამოც) და, ალბათ, შემთხვევითი სულაც არაა ის, რომ მან და სტრავინსკიმ, ისევე როგორც მერს კენინჰემმა და ჯონ ქეიჯმა, საერთო ენა გამოიხსნეს. ამიტომ შემთხვევით არც ისაა, რომ ბალანჩინი ე.წ. არასაბალეტო მუსიკაზეც ქმნიდა ქორეოგრაფიას. სტრავინსკი ამბობდა: „მე არ ვიცი, როგორაა შესაძლებელი იყო ქორეოგრაფი, თუ უპირველესად ისეთი მუსიკოსი არ იქნებო, როგორც ბალანჩინია“.

ერთხელ ბალანჩინი აღმოხდა: „ბალეტის ყოფიერება პეფელას ჰაგას – დღეს ცოცხალია და ხვალ – არა“. არადა ლინკოლნ ცენტრის აფიშები სულ სხვაგვარ პერსპექტივას გვამცნობს. 2014-2015 წლის სეზონში ნიუ იორკის საბალეტო სცენაზე კვლავ ჯორჯ ბალანჩინია და საახალწლოდ – ისევ „მაკნატუნა“.

ი. მირკვილაძე, 600 იორკი, აშშ.

## სსოვნა ზაურ კიკნაძე




საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების ლირსეულ ვეტერანთა შემადგენლობას გამოაკლდა მაღალი პროფესიული ავტორიტეტის მქონე თვალსაჩინო პიროვნება, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების დამსახურებული მუშაკი, პოლიციის პოლკოვნიკი **ზაურ სიმონის ძე კიკნაძე**. ბატონმა ზაურმა წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პირველი ფაკულტეტი. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა სამინისტროს სხვადასხვა სამსახურებს, ენერჯული საქმიანობით შეძლო, მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა ქვეყანაში დანაშაულობების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში მან თავდაუზოგავად იბრძოლა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე ყველა საომარ ოპერაციებში. იყო პრინციპული, მომთხოვნი და სამართლიანი. დიდ მუშაობას ეწეოდა ახალგაზრდა კადრების მომზადებასა და აღზრდისათვის. შექმნა შესანიშნავი ოჯახი, აღზარდა ორი შვილი და აქტიური მოქალაქეობრივი პატივით მით ექონებოდა საქართველოს აღორძინებისა და აღმშენებლობის კეთილშობილ საქმეს. ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებთ ჭირისუფალს და მაღალ ღმერთს შევავედრებთ მის სულს. **საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო კალამის ვებარანთა ცენტრალური კავშირი; ქ. თბილისის საპრეტორი რაიონის ომის, შრომისა და სამხედრო კალამის რაიონული კავშირი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებარანთა საბჭო.**

გრიგოლ შონია, ნუნუ სხირტლაძე, ბექა, ნესტან შონიები, გრიშა, ანა შონიები, ბექა, ელენე მალაშვილები დიდი მწუხარებით იუწყებიან ოჯახის ნათესავის, ერთგული მეგობრის, აფხაზეთის ასსრ ყოფილი უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, გაგრიდან (ალახაძე) დევენილის, იესე შონიას ოჯახის ღირსეული შთამომავლის **კობე არჩილის ძე შონიას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს, მეგობრებს ამ მიმე დანაკარგს.

## ჩვენი კარგადიანი

### ტიბეტური მასაჟის საიდუმლოება

ბიძის ცვლილების დროს, ზოგჯერ კი უცნობი საბაბის გამოც, ძალიან მტკიავს თავი. როგორ მოვიქცე? **თინა ბიძი, ზუგდიდი** **მკითხველების შეკითხვებს უპასუხებს რეფლექსოთერაპევტი ილია ლაბაძე:** – მიზეზები, რის გამოც შეიძლება გტკიოდეთ თავი, შეიძლება ათობით იყოს – სამუშაოზე გადატვირთვისა და გამოუძინებლობიდან დაწყებული ამინდის ცვლილებებამდე.



ბიძა და ჟანგბადის უკმარისობით დამთავრებული. შაკიკი რომ დაამარცხო, არ არის საჭირო ვეძებოთ მისი მიზეზები. შეიძლება იმუშაო სიმპტომებით. თავის ტკივილისთვის თავის აცილების ყველაზე სწრაფი საშუალება კაობრიობისთვის ცნობილია უკვე რამდენიმე ათასი წელია. ეს ტიბეტური წერტილოვანი მასაჟია. შაკიკის სამკურნალოდ საჭიროა დავიმასხოვროთ მხოლოდ 4 წერტილი თავზე, ორი მათგანი წყვილია:

1. ტაი იან წერტილი – არის წარბსზედა რკალის გარე კუთხეზე, საფეთქლის ღრმულში. წერტილი წყვილია.
2. ტოუ ვაი წერტილი – არის თხემისა და საფეთქლის ძვლის საზღვარზე (4-5 თითის ზევით წინა წერტილიდან). ტოუ ვაი შეიძლება ადვილად აღმოაჩინო ყბებით ლექვით მოძრაობის დროს: კბილების ერთმანეთზე მიჭერის დროს ამ წერტილის ქვეშ კუთხით ოდნავ მაგრდება. წერტილი წყვილია.
3. ინ ტან წერტილი – არის წარბებს შორის, ორი თითის ზევით ცხვირის ფუძიდან.
4. შან სინ წერტილი – თავის შუა ღერძის ხაზზე, სამი თითით ზევით თმების ზრდის წინა საზღვრიდან. აქტიურ წერტილებს უნდა გაუკეთო მასაჟი წრიული მოძრაობით, ძლიერ არ უნდა დაეწვეთ. თითოეული მათგანი უნდა დაამუშაო წრიული მოძრაობით სულ ცოტა 12-ჯერ. ამ დროს სასურველია, რომ დავითვალოთ. როდესაც ბოლომდე მიხვალ, ერთი-ორჯერ უნდა გაიმეორო მთელი ციკლი.

### როდესაც თვალები იღვება

**სწმ არ შეგეძლოთ გერჩიათ რაიმე ვარჯიში თვალისთვის, რაც დაძაბულობის მოხსნაში დაგვეხმარებოდ?** მთელი დღე კომპიუტერს ვუზივარ, ძალიან მეღვება თვალები. **ნათიბ, თელავი** სანამ ვარჯიშს დავიწყებდეთ, დიდი მნიშვნელობა აქვს დავიმშვიდოთ შეგნება და გავანონსნოროთ სუნთქვა. 1. დაბრძანდით სკამზე ან სავარძელში, რაც შეიძლება მოხერხებულად, მოდუნდით. შეეცადეთ თავიდან მოიშოროთ ყველა გვერდითი ფიქრები და ყურადღება გამახვილეთ სუნთქვაზე. ისუნთქეთ თანაბრად და ღრმად. ჩაისუნთქეთ ცხვირით და ამოისუნთქეთ პირით.



2. ხშირ-ხშირად ახამხამეთ თვალები ერთი-ორი წუთის განმავლობაში.
3. მიიღეთ ხელისგულები შუბლზე და გააკეთეთ რამდენიმე მოძრაობა ქვევით ნიკაპამდე, თითქოს პირს იბანდეთ. ამ დროს წარმოიდგინეთ, რომ იცილებთ დალილობას და „ცუდ ენერჯეტიკას“. ეს მოძრაობა გაიმეორეთ 10-ჯერ. ამას რომ დაამთავრებთ, ნუ იჩქარებთ თვალების გახვლას. როდესაც ზიხარით დახუჭული თვალებით, თქვენი შინაგანი მზერა მიაპყროთ თვალების კაკლებს, მათს მკვებავ სისხლძარღვებს. თვალები გაახილეთ ნელა.
4. კარგად გაიხურეთ ხელისგულები ერთი-მეორეზე, მოლუნეთ ისინი ნავებად და დაიჭირეთ თვალების წინ ისე, რომ უპეებს არ შეეხოთ, თითქოს ითბობდეთ თვალებს ხელისგულების სითბოთი.
5. დახუჭეთ თვალები და ატრიალეთ ისინი საათის ისრის მიმართულებით 20-ჯერ, ამდენჯერვე საათის ისრის საპირისპიროდ; შემდეგ 20-ჯერ ჰორიზონტალურად და იმდენჯერვე – ვერტიკალურად.
6. გაიმეორეთ წინა ვარჯიში, მაგრამ უკვე ღია თვალებით.
7. მოახდინეთ მზერის ფოკუსირება ცხვირის წვერზე, შემდეგ მზერა გადაიტანეთ რომელიმე ობიექტზე, რომელიც თქვენგან 2-3 მეტრითაა დაშორებული, შემდეგ – შორეულ ობიექტზე სადაც ჰორიზონტის ხაზთან. გაიმეორეთ 20-ჯერ.
8. სამი თითის – საჩვენებელი, შუათითისა და არათითის წვერების გულებით ძალიან-ძალიან მსუბუქად და ანეკით დახურულ გულებს 8-10-ჯერ. დაბოლოს, ხუთჯერ ძლიერ-ძლიერ მოჭუტეთ თვალები, უპეების გაუხსნელად.

ჰოროსკოპი

ლურჯი ხის ცხენი, ოქროს მამალი...

ინფორმაციის მიწოდება, უფრო ზუსტად კი 31-ში, ჩინური კალენდრით ლურჯი ხის ცხენის წელი დაიწყო. ამჟამად მსოფლიოში ორი აღმოსავლური კალენდარი...



მომრული სულისკვების ფრინველია, თან ისიც კოლექტიური არსებაა. ამიტომაც, გირჩევთ „თქვენ-ნანებს“ მხარში ამოუდგეთ, საკუთარი თავის წარმოჩენისაც ნუ მოგერიდებთ.

პრობლემური კი ლურჯი ხის ცხენის წელი თვითნება კატებისა და სორო-სამალაგების პატრონი ვირთაგვებისთვის იქნება, რომლებსაც რაიმე დიდი, მნიშვნელოვანი საქმეების წამოწყებას წელს მაინც დაამაინც არ ურჩევთ.

ცხენს კარგი რეპუტაცია აქვს, ჩინეთში იგი სიბრძნის წყაროს განასახიერებს. იგი კეთილი, შრომისმოყვარე და უაღრესად კეთილგანწყობილია, მაგრამ შეუძლია ანჩხლიც იყოს და ეგოისტიც. იგი მეტად ცნობისმოყვარეა, არ უყვარს ზედმეტი აყვამაყვანილობა და მზაური. მისი სტიქია წყალი, რომელიც თავადაც ცვალებადი, დინამიური და მოძრავია. ლურჯი - ესაა კოსმოსის, უფსკრულის თავსგაკრული სიბნელის ფერი.

ცხენის წელი ხალხს არასტაბილურობასა და ცხოვრებაში ცვლილებებს - წვრილმანებშიც კი - მოუტანს, ამასთან, ზოდიაქოს ბევრ ნიშანს წლეულს შეიძლება ზღაპრულად გაუმართლოს, მას ასევე მრავალი კაშკაშა ემოცია მოყვება.

ხარისხიანი, ძვირფასი ნივთები და სამოსი ცხენის წელს დაბადებულთა „სუსტი წერტილია“. წლეულს უმჯობესია შავი, ყავისფერი, ნაცრისფერი, კობლენიანი, სოროცისფერი, თეთრი, ასევე წყლის - მწვანე და ლურჯი ფერების სამოსელის ჩაცმა. აქსესუარებიდან კი ქაღალტონებს მარგალიტისა და სამკაულების ტარებას ვურჩევთ.

ასტროლოგები გვაფრთხილებენ, რომ ლურჯი ხის ცხენის წელს განსაკუთრებით წინდახედულნი უნდა ვიყოთ - ნებისმიერ არასწორად გადადგმულ ნაბიჯს დიდი უსიამოვნება შეიძლება მოყვებოდეს. ამასთან, სწორ არჩევანს თქვენი „ზეცაში აყვანა“ შეუძლია, და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ზოდიაქოს რომელი ნიშნითა ხართ დაბადებული. შეგიძლიათ ჯიბის ნალის შექმნა და მთელი წლის მანძილზე თან ტარება.

წარმატებებს გისურვებთ!

ინეო ალექსანდრიძე

ჩვენი პრესდაიჯესტი

კაპიტალიზმი ვაზუსტოვებთ



„ციხეებში ნაციონალისტ აგენტურა გახადიქვდა“

— ფიქრობს ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი, — იქ რომ მათ თავიანთი აგენტურა ძალიან ბევრი ჰყავდათ და ნახევარი პატიმარები მათზე მუშაობდნენ, ეს ცნობილი ფაქტია და დღესაც ექნებათ მათ მცდელობა ამისა, თუმცა, მე არ მგონია, რომ მთავარი მიზეზი ეს იყოს. ნაციონალისტების მხრიდან, რასაკვირველია, ყოველთვის იქნება მცდელობა, არა მარტო ციხეში, არამედ მთლიანად ქვეყანაში სიტუაცია აირიოს და მუდმივად იძახონ ნაციონალისტმა, რომ ჩვენ რა წესრიგი გვქონდა და ეს სრულიად უნიათო ხელისუფლებააო. ამის მცდელობა ექნებათ, რა თქმა უნდა, უამისობაც არ არის, თუმცა, მთავარი მაინც ისაა, რომ არცერთი მხარე არ ცდილობს კანონის ფარგლებში თანაარსებობას. „ახალი თაობა“

„რითი ეფუძრება გიგა ბოკერიას მეგობარი მარინე მიზანდარი ირაკლი ლარიბაშვილის მთავრობას?“

კულტურის სამინისტროში აგორებულ სკანდალთან დაკავშირებით პუბლიკაციას აქვეყნებს ინტერნეტ გამოცემა „გარდინა.გე“ სათაურით: „რითი ეფუძრება გიგა ბოკერიას მეგობარი მარინე მიზანდარი ირაკლი ლარიბაშვილის მთავრობას?“, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ: „...მარინე მიზანდარი სხვადასხვა მედიასაშუალებებში აქტიურად იკეთებდა თამამი ძეგლისდამცველის იმიჯს და სიტუაციას ხელოვნურად დაბრუნებდა... ამ თემაზე სამთავრობო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული, მაგრამ მარინე მიზანდარი ქუჩაში გამოსვლით იმუქრება (იყენებს სტუდენტების მხურვალე ემოციებს და დემონსტრაციებისკენ უბიძგებს). ჯერ მიზანდარმა არ იცის რა დასკვნას გამოაქვეყნებს მთავრობა (ზომ შესაძლოა, მისი და მთავრობის დასკვნა ერთმანეთს დაემთხვეს?), გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული, მაგრამ მიზანდარი არ იცის და ჩქარობს „დავალების“ შესრულებას... რეალურად კი, ის ხელოვნურად ქმნის საზოგადოებრივ მღელვარებას... მან ზუსტად იცის, რომ მთავრობა საყდრისის „განადგურებას“ არ აპირებს, მაგრამ საპირისპიროს აპირებს, რაც ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასია. „ალია“

რა მოხდა სინამდვილეში ცირკთან 1992 წლის 2 თებერვალს?

დედაბაბაშვილი იმ ამბების შემსრულ და ორივე მხრიდან მონაწილე უამრავი ადამიანი ცხოვრობს, უკვე თმაგათეორებულეები და ცხოვრებისეული გამოცდილებით დამძიმებულეები...

პიროვნება, რომელიც ამ თემაზე სასაუბროდ რედაქციაში გვწვინდა, არათუ მონაწილეობდა, უშუალოდაც ხელმძღვანელობდა 2 თებერვლის აქციის აღკვეთის ღონისძიებას. იგი საკუთარ ვინაობას არ მალავს და მზადაა, არაანონიმურადაც წარდგეს საზოგადოების წინაშე, თუმცა, გარკვეული ყოყმანის შემდეგ რედაქციამ მისი აფიშებისგან თავი შეიკავა.

„ძრწინა“

რეკლამა ბ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

კალრი



ციხეხალი ანკალოტაჰი

მისწმ, რომელსაც მეზობელ სოფელში მცხოვრები ნიკა დიდხანს არ უხდოდა ვალს, გადაწყვიტა, სახლში მიეკითხა მისთვის და ფული მოეთხოვა. მისომ მეგაღეს სწორედ მაშინ მიუსწრო, როდესაც იგი სადილობდა და ინდაურს ქრიდა.

- როდის დამბრუნებ ვალს?
ცოტაც მოითმინე, ძმაო, ახლა კაპიკიც არა მაქვს და რა მოგცე?
კაპიკიც არა მაქვსო და, ბურჯავივით ინდაურს კი მიითმევე?
ამ საცოდავ ფრინველზე ამბობ? დაეკალი, აბა, რა მექნა, მაგისი საკენკის ფული სადა მაქვს!



თუ ტულატიდან ტანკის ძრავის გუგუნი ისმის,

ესე იგი, ჩემი შერევილი კვლავ ნოუთბუქით დამჯდარა უნიტაზზე!

საქონლში სამოქალაქო თავდაცვის გაკვეთილი მიმდინარეობს:

- გაიკეთეთ აირწინაღი მოიხსენით აირწინაღი ივანოვა, არ გესმის? მოიხსენი აირწინაღი - მოხსნილი მაქვს, მასწ!
პოო? ფუ, რა სიფათი გაქვს, ივანოვა!

რა მამაკაცური ნაბიჯი გადაგიდგამს ცხოვრებაში?
ერთხელ ალგებრის გაკვეთილზე ხელი ავწიე.

- ინტერნეტში ყველანი მამაცები ხართ. შეძლებ, ეს ყველაფერი ისე გაიმეორო, რომ თვალებში მიყურო?
რა პრობლემაა? გამომიგზავნე ფოტო.

ავტორთა საჭურაღდავო! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA
ბ. ახვლედიანის (მთვინი) პერმისკიანის) ძ. 19
ინფორმაცია 66434

გამომცემელი: შპს „თბილისი-საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)



თავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიგაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; საბრტაქ მოგუბია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკიძე 514 33-33-24